



№ 4 კვირა, 21 იანვარი 1901 წ.

საპვირაო გაზეთი

კვირა, 21 იანვარი 1901 წ. № 4

გაზეთის ფასა: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. 50 კაპ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში „წერა-კითხვის გაბავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, საპიერნის ქუჩა, № 15. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

შინაბარსი: გიორგი წერეთელი ნ. ჟორდანიასი.—გ. წერეთლის სახსოვრათ ლექსი ი. ევდოშვილისა.—მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—კარგესონდენციები.—რუს.თის ცხოვრება.—მოაგრობიბის გამოცხადება,—რუსეთი მე-XIX საკუნეში (დასასრული) Nord-სა.—საზღვარ-გარეთ.—პრომეთოსი—პანწკები რიგოლეტოსი.—ეურნალ-გაზეთებიდან.—ჩვენი სახიობა.—ბიბლიოგრაფია.—ისტორიული მეცნიერებიდან—შეცდომის გასწორება და განცხადებები.

დღეს, 21 იანვარს დიდუბის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და ჰანაშვიდი

გიორგი ექ. წერეთლისა.

მეუღლე მისი ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა და შვილები: ელენე, ლევან და ირაკლი აუწებენ-რას ამას ნათესავთ და ნაცნობთ, თხოვენ მოხარულად დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ჰანაშვიდი 11¹/₂ საათზე.

„კვალი“-ს რედაქცია აუწებს თავის თანამშრომელთ და მკითხველთ, რომ დღეს, 21 იანვარს დიდუბის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და ჰანაშვიდი

გიორგი წერეთლისა.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ჰანაშვიდი 11¹/₂ საათზე.

გიორგი წერეთელი

დღეს, 21 იანვარს, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია გიორგი წერეთლის გადაცვალების წლის წირვა და ჰანაშვიდი, „კვალი“-ს რედაქცია მოიწოდებს ჰანაშვიდზე დასასწრებლათ თავის თანამშრომლებს და მკითხველთ. ეს, რასაკვირელია, იმას არ ნიშნავს, რომ გიორგი წერეთლის ხსოვნა მხოლოდ „კვალი“-ს მხრით არის პატივსაცემი და დაუვიწყარი, არა, ის მთელი თავის ლიტერატურულ და საზოგადო მოღვაწეობით ეკუთვნის მთელ ჩვენ ლიტერატურას, ჩვენს ხალხს საერთოთ და ამათ შორის ჩვენც. გიორგი წერეთელმა ორმოცი წელი იმოღვაწა საზოგადო ასპარეზზე და ამავე ასპარეზზე დალია სული. და ეს ისეთი იშვიათი მოვლენაა ჩვენში, რომ ღირს ეს მაგალითი მუდამ ჟამს გავიხსენოთ და მისაბაძავთ გვქონდეს. თავისთავთ ცხადია, რომ კაცი მომქმედი და მოძრავი, შეუცდომლათ ვერ დარჩება. არ სცდება მხოლოდ ის, ვინც არას აკეთებს. მაგრამ ერთ რამეს ყოველთვის მოვითხოვთ მოღვაწისაგან: მისი შეცდომაც გულწრფელი და საზოგადო სამსახურის სურვილით იყოს გა-

მოწვეული. შეიძლება გიორგი წერეთელი, ზოგი თავის ნაციონალური პლანებით, მართლაც „პაერში დასეირნობდა“, როგორც ამ დღეებში ერთმა დასწერა, მაგრამ ეს მისი იდეალიზმი სამშობლოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული და ეს განა დასაძრახისია მოღვაწისათვის? გიორგი წერეთელი, უეჭველია, ერთი იდეალისტთაგანი იყო, იმას შეეძლო ერთი აზრით გატაცებულიყო და ამისათვის ხიფათს არ დარიდებოდა; ნაკლულეგანება ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ვერავითარი აზრი ვერ გაგიტაცებს და სასოწარკვეთილებიდან ვერ გამოგიყვანს. საზოგადოებას, ხალხს, მთელ ერს არაფერი ისე არ მოსწყვეტს წელს, როგორც უიმედობა და სასოწარკვეთილება. ეს კაცის მოქმედებას ალაჩრებს და აზროვნებას ათახსირებს; და აი, სამწუხაროთ, ეს სენი კაი ხანია ბუღაობს ჩვენი ახალგაზდობის ერთ ნაწილში.

ვისი გატაცება შეიძლება საზოგადო სარბიელზე, როცა თვითონ არა ხარ გატაცებული? ვინ დაგენდობა შენ, როცა თვითონ უნდობლათ ეპყრობი ყველაფერს?

არა, უიმედობას ისევ „პაერში სვირნობა“ ჯობს, უაზრობას—აზრით გატაცება და სიძაბუნეს—გულადობა. მართალია, ამ ჩვენს ღრობში, როცა ყველა „მძიმეთ დაცემას და მხატვრულად აღგომას“ ეტანება, ამ თვისებებს ძალა და გავლენა არა აქვთ, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს ყოველთვის ასე უნდა დარჩეს, გიორგი წერეთელი, როგორც იდეალისტი¹⁾ მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა ასეთს სულით-დაცემას და ყოველთვის სიმბნევეს და მოქმედებას ქადაგებდა...

და ასეთი კაცის საფლავზე ჩვენ ყოველთვის მოწიწებით წავალთ და მის ნეშტს თაყვანს ვსცემთ.
ბ. ჟორდანი.

გ. წერეთლის სახსოვრათ
16 იანვარს, 1900 წ.

მე, გლჳის ზარი!... ჩემი სამშობლო დეიძლე შეიღეს დასტირის კუბოში კვალად და დღეს კიდევ ერთს გადააფარა თვის დაწვეტილი გული სუდარად. რაზმს, თავგანწირულს, დღეს კიდევ ერთი თავგანწირული ჩამოეცა... დიდებულ იუოს მისი სახელი, ვინც თავის გული ხაღსს ანაცვალა. მაშურალთა კერავ, იგლოვე მსხვერპლი, სევდის ღრუბელმა თავს გადაიარა და დღეს დაკარგულს მოძმის ცხედარზე კვლავ აჭვითინდა შენი იარა.

ი. ევლოშვილი.

მე-XIX საუკუნის მოღვაწენი

ზოგი მცენიერი ამტკიცებს, რომ ხაღხის ისტირას მისი მოღვაწენი ჰქმნიანო. გაიცანით მათი ცხოვრება და თქვენ გაცნობილი გექნებათ თვით ერის ცხოვრების მატრიალური ჩარხი. ეს შეხედულება უსაფუძვლოდ არის აღიარებული და არც ჩვენ ვართ მისი მომხრე. მაგრამ უეჭველია ის, რომ ცხოვრების ეს თუ ის ღრმა მიმდინარეობა რამდენიმე ადამიანით ზოგჯერ თავის გარეგან გამოსატყულებს და აი ამ ადამიანთ ეწოდება საზოგადო მოღვაწენი. ისინი რაც უფრო ღრმად შეანძრევენ საზოგადო ურთიერთობას, რაც უფრო ნამდვილი წარმომადგენლები იქნებიან ამ ურთიერთობისა, მით უფრო დიად მოღვაწეთ ხდებათ და ისტორიაშიაც სახატო აღაგს იტყვენ. ასეთი ზირები მრავალი იყო გავლილ მე-XIX საუკუნეში და მათი თვალწინ გატარება ნიშნავს რამდენიმეთ ამ საუკუნის თვალწინ გატარებასაც. აიღეთ რამედი მოღვაწეც გსურთ, თუნდა ნაზაფიანი, გინდ ბისმარკი, გარკვეულთ მისი საზოგადო მოღვაწეობა და მით თქვენ გარკვეულთ მის

¹⁾ თ. გ. თუმანიშვილი ერთ თავის რუსულ წერილში გ. წერეთლის შესახებ ამოხსნ, რომ ის იდეალისტი იყო, თუმცა ხანდახან „ეკონომიურ მატერიალიზმსაც“ ქადაგებდაო. მოვარდნებთ პატრიცემულ ავტორს, რომ ეს ორი მცნება სრულიად არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პირიქით, „ეკონომიური მატერიალისტები“ ამდროის უდიდესი იდეალისტები არიან.

ეპოქას, მთელ მამინდელ საზოგადო წეს-წყობილებას, თუ კიუვემ შესძლო ერთი კბილით მთელი ცხოველი აეწერა, კიდევ უფრო ადვილათ შეიძლება ერთი ისტორიული მოვლენით მთელი ეპოქა წარმოადგინოთ და ასწეროთ. და ეს იმიტომ, რომ საზოგადო განწყობილების ყოველი მხარეები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებული და გადაიმუღ-გადმოხმული. შეესეთ ერთ მხარეს და თქვენ ძალაენებურათ შეეხებით ყველა დანარჩენ მხარეებს; წააქციეთ მისი ერთი ბოძი და ადრე თუ გვიან წაიქცევა მთელი შენობა. ერთი სიტყვით, საზოგადო მოღვაწის გაცნობით, გაიცნობთ დაახლოვებით საზოგადო მსვლელობას და რაც უფრო დიადი ეს მოღვაწე, მით უფრო ძლიერი იქნება მის მიერ გამოსატყუელი მსვლელობაც. ეს იმას-კი არ ნიშნავს, რომ მოღვაწე ჰქმნის ისტორიას, არა, პირიქით, ისტორია ჰქმნის მოღვაწეს და ის მხოლოდ თავის არსებაში ადბეჭდავს ამ მის შემქნელს—ისტორიას. მოღვაწე საზოგადოების ძალთა განწყობილების მგრძობიარე ბარამეტრია და რაც უფრო ის მგრძობიარეა, ე. ი. რაც უფრო ხატავს საზოგადო სულის კვეთებას, მით უფრო ის შესანიშნავი ზირია, მიუხედავად მისი მიმართულებისა და ზარტიობისა, რასაკვირველია.

ამისათვის განვიზრახეთ „გვალი“-ს მკითხველთ, აქ ამ აღაგას, წარმოგუდგინოთ მთელი რიგი ასეთი ზირების მათი სურათებით და მოღვაწეობის აღწერით. ეს ზირები იქნებიან მე-XIX საუკუნის მოღვაწენი. მაგრამ რადგანაც ამ საუკუნის მეთაური და ტონის მიმცემა დასავლეთი ევროპაა, ამიტომ ჩვენც ევროპის მოღვაწეებით დავიწყოთ. სხივი წინმსვლელობის და განვითარების ევროპიდან მოდიოდა და მოდის, მაშასადამე საჭიროა ზირველათ ამ მნათობთა გაცნობა და მერე იმათი, ვისაც ისინი ათბობდენ და აშუქებდენ. რასაკვირველია, ჩვენ ქა ასეთი თანდათანობის დაცვა გავიჭირდებო. როცა ერთ რიგს ევროპის მოღვაწეებისა გავათავებთ, მერე რიგის დაწვეებადის ჩვენს მოღვაწეებს ჩავურთავთ და მერე ისევ ევროპის დაგუბრუნდებით. მაგრამ ერთ რიგის მოღვაწეთა შორის კი უთუოთ კავშირი უნდა იყოს, რომ მკითხველმა ცხოვრების ერთ დარგზე მთელი წარმოდგენა იქონიოს.

მომავალ ნომრიდან დავიწყოთ ევროპის სახელმწიფო მოღვაწეთა, ანუ ზოლიტიკოსთა სურათების მოთავსებას.

მინაური მიმოხილვა

პარშან თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრებამ დადგინა სამეურნეო საზოგადოებასთან დაარსდეს სტატისტიკური ბიურო და ამისათვის საჭირო ფულიც გადაიღოსო (1500 მ., მგონი). ამას ყველა სიხარულით მიეგება და დღე-დღეზე ველოდებოდით საქმის დაწყებას. დამწყებათ სამეურნეო საზოგადოებამ აირჩია განსაკუთრებულ კომიტეტათ ხუთი კაცი, რომელთაც უნდა მიეწვიათ სტატისტიკოსი. ამ ოთხი თვის წინათ გაზეთებმა გაგვაგებინეს, რომ სტატისტიკოსათ ბ. დან-ლუროვი მოიწვიესო. ჩვენც ვიფიქრეთ, ახლა კი დაიწყება მუშაობა-მეთქი, მაგრამ არჩეულმა ცოტა ხნის შემდეგ უარი განაცხადა და მის ალაგას აირჩიეს მეორე დან-ლუროვი, ძმა პირველისა და ამავე დროს წევრი ამრჩეველთა კომიტეტისა, რამდენისამე ხნის მერე ამასაც უარი განუცხადებია და ასე ამ საქმეს თავი არ მოება. რას უცდის კომიტეტი კაცის მონახვას, არ ვიცით. ჩვენ გვე



გონა, რომ სამეურნეო საზოგადოება ამ მეტათ სიმბატიურ დაწესებულებას უფრო გულმტკიცეულათ მოეპყრობოდა და საზოგადოებას მაინც გულს არ გაუტეხდა. იმედია, კომიტეტი ამ საქმეს არ მივიწყებს და მის მოწყობას ისევე მხნეთ შეუდგება.

ეს ერთი ხანია თფილისის სახელოსნო სასწავლებლის გამო დიდი ლაპარაკია ატეხილი: ამის შესახებ ლაპარაკობენ საბჭოში, გაზეთებში და საზოგადოებაში. სკოლის საბჭოში სხდომები ერთიანათ ამ დავიდარაბას უნდება. ყველა ამის მიზეზი თურმე რა ყოფილა: სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს უცნობებია ქალაქის სასწავლებელთა კომისიისათვის, რომ სახალო სკოლათა ინსპექტორი თხოულობს: 15 იანვრიდან სკოლაში გაუქმდეს ქართულ-სომხური განყოფილება და სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოებდესო. რასაკვირველია, ასეთი უეცარი ცვლილება სკოლის გულ-შემატკივართ აალაპარაკებდა. სკოლა ქალაქს ეკუთვნის. ამისათვის ეს კითხვა საბჭოში უნდა განიხილოს და თავისი საბოლოო სიტყვა სთქვას; ეს, რასაკვირველია, ბრძანების თანხმა იქნება და ამას საბჭო არც კი შეეხება, მაგრამ, რადგანაც სკოლის ტიპის შეცვლა სკამაოდ დროს და მომზადებას თხოულობს, უეჭველია, საბჭოც ამის თავდარიგს შეუდგება და საქირო დროს მთავრობას გამოსთხოვს.

ჩვენში რომ „ამხანაგობები“ ვერ ხეირობენ — ეს ყველამ იცის ახლა, მაგრამ არც ერთ ამხანაგობას ისე ჩქარა არ გამოსჩენია სისუსტე და საქმის არეულ-დაარეულობა, როგორც დურგალით ამხანაგობას „შრომა“-ს გამოაჩნდა. ჯერ მისი არსებობის ორი წელი არ შესრულებულა და ამხანაგობა კი ლამის მიწასთან გასწორდეს. პირველათ მის გამგეთა შორის მოხდა უთანხმოება და შეხეთქება. უკანასკნელ კრებაზე ერთმანეთს, ვინ იცის, რა არ დააბრალეს. ამ დავიდარაბის გამოსარკვევათ არჩეულმა სარევიზიო კომისიამ წევრთა კრება გასულ კვირას მოიწვია, მაგრამ კრება არ შესდგა. ცხადია, წევრნი სრულ გულ-გრილობას იჩენენ „შრომისადმი“, რომ აწეწილ საქმეების გაწეს-რიგებას არ ემუშებოდნენ. ჩვენ, რასაკვირველია, იმას არ ვფიქრობთ, რომ „შრომა“-ს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს დიდ ქარხნებს და ამით ისულდგმულოს, მაგრამ თუ კი მისი ახლანდელი წაფორბილება გამგეთა ბრალია — ცხადია, ამხანაგობამ ჯერ ესენი უნდა მოიშოროს თავიდან და მერე თავის ეკონომიურ როლზე იფიქროს. თვარა ახლა რომ ის დაეცეს — ამის მიზეზს მონახვენ იქ, სადაც ის ნამდვილათ არ არსებობს და ეს ხელოსანთა გაცნობიერებას დიდათ დააბრკოლებს. დეე, საქმე მოაწყონ ისე, როგორც წესი და რიგია და თუ მაინც ბოლოს ვერ გაატანენ — ახალ გზას უფრო ადვილათ გამოსძებნიან.

ტკვარჩელის ქვა-ნახშირის ამბავი ევროპასაც მოსდებია. ამ დღეებში ერთ უცხოელ გაზეთში ამ მადნების დაწვრილებითი აწერილობა წაეკითხეთ და უცხოელ კაპიტალისტთა და მუშათ იწვევენ აქ ფულის საშოვრათ. კორესპონდენტის სიტყვით, ტკვარჩელის ორადგილზე შვიდი მილიარდი ფუთი ნახშირი უნდა იყოსო და თან

საუკეთესო თვისებისაო. საკვირველია, რომ ამ მადნებს ჩვენი კორესპონდენტები და გაზეთები ასე ცოტა ყურადღებას აქცევენ და არ მეცადინებენ მისი ავ-კარგი გააცნონ ხალხს, რომელიც ლუკმა-პურის საშოვრათ ცომბირისაკენ წასვლასაც არ ერიდება. ტკვარჩელში, უეჭველია, გარდა უბრალო მუშისა, საქირო იქნება მრავალი სხვა ხელობის ხალხიც, მაგალითად, მედუქნე, ნოქარი, მეურმე, ჩაღვადარი, გადამწერი, ბუხპალტერი და სხვ. და თუ ჩვენ დიდ საქმეთა საწარმოვო ფულები არა გვაქვს — ყველა ეს ხომ მაინც მოგვევარება და ესეც ფულის წყაროა. საქიროა მხოლოდ ვიცოდეთ, სად, როგორ და როდის მოვიხმაროთ ჩვენი შრომა.

„კვალი“-ს ამ ნომერში მოთავსებულია სოფ. ხიდისთავის სამკითხველოს წევრთა განაჩენი, რომლის ძალით ცნობილი ყარამან ნინიძე გამორიცხულია სამკითხველოს წევრთა რიცხვიდან. საინტესოა მოტივი ამ გამორიცხვისა, რომელიც იქვე ჩამოთვლილია და რაც ერთი უძლიერესი საბუთია ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლების და განვითარებისა. ეს, მგონი, პირველი მაგალითია ჩვენში, რომ მკითხველები ასე პირ-და-პირ და მტკიცეთ ესარჩლებოდნენ ქართულ პრესას იმ ვაჟ-ბატონების ასალაგმავათ, რომელთა მიზანია სიტყვა თავისუფალი და წრფელი პრესაში ჩაჰკლან. ყოველსავე საქმეს მიშინ მიეცემა საფუძველი, როცა თვითონ ხალხი მას მხარს უჭერს და ექმნაგება. და აი, ხიდისთაველთა მაგალითი გვარწმუნებს, რომ ჩვენს მწერლობასაც ჰყოლია ფხიზელი დარაჯი და ეს დარაჯი ქართველი მკითხველია.

დიდი მოუსვენარი ხალხია ეს ქუთათურები! ბ. გველესიანის შესახებ მითქმა-მოთქმა კიდევ არ დასრულებულა და, როგორც სჩანს, არც აპირებს დასრულებას. ეს პატივცემული პირი აირჩიეს ქუთაისის ქალაქის გამგობის წევრათ. და რადგანაც ყოველივე კენჭის ყრა ქუთათურებს ფეხზე დაყენებს, აი, ამ პატარა ამბავმაც ერთი ალიაქოთი გამოიწვია ეგრედ წოდებულ ოპოზიციის ბანაკში. ბ. გველესიანს დასწამეს „პარტიის“ ლალატი, „დისციპლინის“ დარღვევა და სხვა ამისთანაები. და მერე რატომ? იმიტომ, რომ ჯერ „ოპოზიციის“ მეთაურებისგან რათ არ აიღე კენჭის ყრის ნება-რთვია! „ცნობ. ფურცლის“ კორესპონდენტს თუ დაუჯერებთ (№ 1350), ქუთათური ოპოზიცია არა თუ ერთი უბრალო, ჩვენებური პარტია, არამედ მათ „პროგრამაც“ აქვთ, „პრინციპებიც“ შემუშავებული და „ორგანიზაცია“ ჰქონებიანთ; ერთი სიტყვით, ჩვენში თურმე ნამდვილი ევროპიული პარტიააყოფილა და ეს აქამდის არავის სცოდნია, პირველ ყოვლისა, არ სცოდნია თვით ბ. გველესიანს, თვარა, უეჭველია, ისიც კენჭს არ იყრიდა „ორგანიზაციის“ ნება-დაურთველათ. ეს არ სცოდნია აგრეთვე ამ პარტიის ერთ წევრს, ბ. სერ. ჯაფარიძეს, რომელიც გადაქრით ამბობს — ამ გვარი ორგანიზაცია ჩვენ პარტიას არ აქვსო. (ცნ. ფურ. № 1356); დასასრულ ეს აღარც „ცნობ. ფურცლ.“ რედაქციას სცოდნია, როცა ამბობს, რომ ქუთაისის ოპოზიცია „უდისციპლინო“ და „დაქსაქსულიაო“ (იქ.)* და თუ ყველა მართალს ამბობს ერთი მითხარით, რომელი „პარტიის“ და რომელ „ორგანიზაციისათვის“ უნდა

მიემართაბ. გველესიანს ლოცვა-კურთხევის მოსაღებათ?*) და ან ნუ თუ ჰგონიათ, რომ ვინც ამ ლოცვა-კურთხევის არ დაეძებს, ის უთუოთ ლოლოუა-ჩიკვიდის მომხრეა? საკვირველია, რომ ქუთათურები—ეს ვითომ და პროგრესის ხალხი—ამ ძველ ზღაპრებს კიდევ არ ეშვებიან...

ბ. სერ. ჯაფარიძე ზემოთ დასახელებულ მის წერილში ერთ საყურადღებო ცნობას გვაძლევს. მისი სიტყვით, ქუთათის საბჭო და გამგეობის უმრავლესობა ოპოზიციის წევრებისაგან შესდგება. „ასე რომ ვერც ერთი ქალაქის საქმე ვერ გადაწყდება ამ პარტიის სურვილის წინააღმდეგ, თუ მარჯვედ იქმნენ და თავისი ვალდებულება რიგიანათ ასრულებს“—სწერს ავტორი. და აი, იმავე გაზეთის იმავე ნომერში ქუთათური კორესპონდენტი ძალიან ახირობულ ამბავს გვაუწყებს ამ პარტიის საქალაქო მოღვაწეობის შესახებ. ქუთათის საბჭოს ერთი და იგივე ნაჭერი მიწა ორ სხვა-და-სხვა შენობის (სავაჭარო და სკოლის) ასაგებათ გაუცია. გამგეობას კი განცხადება შეუტანია, სადაც ჯერ არს: რადგანაც ორი შენობის აგება ერთ და იმავე ალაგას შეუძლებელია, გთხოვთ უკანასკნელი განაჩენი არ დაამტკიცოთ! როგორც ხედავთ, ქუთათის საბჭოს ავიწყდება თავისი განაჩენები. მეორე მხრით, საბჭოს დაუდგენია თეატრის შენობა დაკლებულ ფასათ (20 მ.) მიექირაოს სახალხო წამოდგენის გამგეთ. და აი, ამ განაჩენს ეურჩება გამგეობა. და თუ ყველა ამას ოპოზიციის ჩადის—თუ, რასაკვირველია, ბ. ჯაფარიძეს დაუჯერებთ—ეს ვერაფერი საბუთია „ორგანიზაციის“, „პრინციპის“ და „დისციპლინისა“.

სხვა-და-სხვა ამბები

დღეს, 21 იანვარს, მადათოვის კუნძულზე მოხდება კრება თფილისის ღურგალთა ამხანაგობის „შრომისა“. კრება, მიწვეული 14 იანვრისათვის, წვერთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არ შესდგა.

უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში ტფილისის, ბაქოს განჯისა და ერევნის გუბერნიებში და ყარსის ოლქში, დაუარსებიათ სულ 170 სამრევლო სკოლა. ამათგან 35 თფილისის გუბერნიაში.

ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა მისწერა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომ ტფილ. გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის მოწერილობის თანახმად, 15 იანვრიდან, უნდა გადაკეთდეს სახელოსნო სკოლა ისე, რომ სწავლა მარტო რუსულ ენაზე სწარმოებდეს და უნდა გაუქმდეს სასწავლებლის ქართულ-სომხური განყოფილებანი; ამიტომ გთხოვთ გვიჩვენოთ, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში. კომისიის თავმჯდომარემ ეს ქალაქი გადასცა ქალაქის მოურავს. მოურავმა შეატყობინა დირექტორს შემდეგი:

*) როგორც ხედავთ, ახლა ყველა იმას ამბობს, რაც „კვალში“ არა ერთხელ გამოვთქვით.

„თუ სახალხო სკოლების ინსპექტორს თავისი ქალაქი უნდა აქვს დამოუკიდებლად მოახდინოს ცვლილება სახელოსნო სასწავლებელში, ქალაქის თვით-მართველობის დაწესებულებათ არ შეუძლიანთ და არც უნდა გაუწიონ წინააღმდეგობა. სახელოსნო სკოლის გადაკეთების შესახებ საკითხს გამგეობა წარუდგენს ქალაქის საბჭოს განსახილველად („ივ.“).

თფილისში არსდება სამთო-სამრეწველო საზოგადოება, რომელსაც აზრდა აქვს მოსძებნოს და შეიმუშავოს მადნეულობა ამიერ კავკასიაში. საზოგადოებას თანხათ ერთი მილიონი მანეთი აქვს.

1901 წლის იანვრისათვის თფილისის საპატრიარქოში სულ ყოფილა 874 ტუხალი: გუბერნიის საპატრიარქოში—485, ამათგან კატრობისათვის—3, პოლიტიკური დამნაშავე—2, დაბალი წოდების—361 მამა-კაცი და 49 დედა-კაცი. მეტეხის ციხეში ადმინისტრაციის განკარგულებით—3, პოლიტიკური დამნაშავე—22, აზნაური—32 მამა-კაცი და 1 ქალი, დაბალი წოდების—229.

საბჭოთა გადასახადთა გამგეს ლ. პერშკეს მოჰყავს იმავე უწყების ანგარიშში სტატისტიკური ცნობები თამბაქოს მოყვანის შესახებ ამიერ კავკასიაში 1890 წლიდან 1899 წლამდე: 1890 წ. ამიერ კავკასიაში თამბაქოს პლანტაციათა რიცხვი იყო 17,718 (1,817-დესეტინა). ხოლო მოსავალი 116,923 ფუთი. 1899 წ. პლანტაციათა რიცხვი აიწია 26,492-დესეტინა (4,248 დეს.) მოსავალი 246,468 ფუთი. შუათანა რიცხვით ათისწლის განმავლობაში პლანტაციათა რიცხვი უდრის 23,545-ს 3,017 დესეტინა მიწაზე; მოსავალ 179,606 ფუთი. ამ მოყვანილ ციფრებიდან ნათლათა სჩანს, რომ პლანტაციათა რიცხვი თუმცა მატულობს, მაგრამ იმდენათ ვერა, რამდენათაც თამბაქოს მოყვანა იზრდება დესეტინობით ე. ი, სივრცით. მიზეზი ამისა, რასაკვირველია, ის არის, რომ თამბაქოს წარმოება უმრავლესობის ხელიდან გადადის თანდათანობით უმცირესობის ხელში და ამნაირათ ღებულობს ნამდვილ წარმოებთი ხასიათს.

სოხუმის ქალაქის თავათ დაუმტკიცებათ ბ-ნი დიმიტრივი.

როგორც მოსკოვიდამ გვატყობინებენ, წარსულს კვირას გამოსულა შროფესორ ხახანაშვილის მე-III ტომი ქართული სიტყვიერების ისტორიისა, რომელიც შეიცავს 400 გვერდზე მეტს და იხილავს XVI—XVIII საუკუნეების მწერლობას. წიგნი დაიბეჭდა მოსკოვის უნივერსიტეტის ხარჯზე.

სახალხო პირველ დაწყებითი სწავლის გაძლიერებისთვის წელს გადაიდვა 200 ათასი მანეთი.

გადაწყდა დაარსება რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში და მათ შორის კავკასიაშიაც საშუალო სამთო სკოლებისა, რისთვისაც სამთო უწყება ამ ჟამათ უკვე აღგენს პროგრამას.



14 ოქტომბერს, 1900 წ. კიევის უნივერსიტეტში საექიმო ნაწილზე სწავლა დაამთავრა და დიპლომი მიიღო ორმა ქართველმა: ალექსანდრე მაღალაშვილმა და დავით გიორგობიანი. ორივე ესენი დარჩენ ორდინატორებათ კლინიკებში; მაღალაშვილი შინაგან ავთმყოფობის პროფესორ იანოვსკისთან და გიორგობიანი—ლიაგნოსტიკის პროფესორ ვაგნერთან.

ფრანგულ გაზ. „La Reforme“-ში ვკითხულობთ: „საქართველოში. პარიჟის გამოფენის რუსეთის რეფორმული წარმომადგენლის, რაფაელ ისარლოვის გამაგობით ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ერთი მეტად საინტერესო თხზულება საქართველოს ისტორიისა, გეოგრაფიის და ლიტერატურის შესახებ. ლიტერატურული ნაწილი ეკუთვნის პროფ. ა. ხახანოვს, რომელიც გვაცნობებს ისეთ რამეებს, რის არსებობას ამიერ კავკასიის პროვინციებში სრულიად არ მოველოდით.“

კორესპონდენციები

ს. წინარეხი (გორის მაზრა). კარგი ხანია ფეხი შედგა განათლებამ ჩვენს ერში და ხალხიც ამ უკვდავების წყაროს. ეგებება და ასევე მოგვინებულ ასეობის საშუალებას ეწაფება, ეცისას გაქვს ჯიჯღ-ბიჯი, ათეფ ვეჯღა გრძობს რომ დეკება ახალი ხანა, გამჩნდა ახალი გზა ცხოვრებისა.

უეჯღა ერეკვეა დემა ძილისაგან და დეკება ახალ გზას, მაგრამ ეს ბედშავი წინარეხი ამ ახალი ხანის ფარგლებში არ მოქმედია. თუმცა აქ სკოლა არსებობს, მაგრამ მანტო სკოლამ რა გააკეთოს, თუ მას ხელმძღვანელი არ ჰქვას რომელი მასწავლებელიც უნდა მოეძებნა აქ, არც ერთი არ იცხულებს თავს სკოლისთვის. იქნება ფიქრებენ, რომ ჯერ ადრე წინარეხელების სწავლა! მამ, რას ნიშნავს ეს, რომ, ზირველ ენკებისთვის მაგიურად, გიორგობისთვის ნახევარში თუ მთა გონდათ სწავლის დაწესება, ისიც კარგია... აკერ დანაკა შკოლის ხარი, მოვლენ თითო ოროლა შკირდები, ისიც იმისთანანი, რომელთაც ბუნებით სწავლის სურვილი აქვთ, მაგრამ ვინ არის იმისთვის ხელის შემწეობი! ბერი ლოდინის შემდეგ, გამოვა მასწავლებელი და უბრძანებს: „ბა ცოტანი ხართ და თქვენ ხომ არ მოგიჯდებით და გასწავლით“. აი, ამ ზისუხით ისტუმრებს ხალხე წინარეხის სკოლის მასწავლებელი სწავლის მსურველთ. და გულ-მსურვადობაც ამას ჰქვანს ერთი სიტყვით, აქაურს მასწავლებელს არ მოაქდეს სკოლიდან შუშის საფეხები, მისამსახურე, დროზე ჯამაგირი და სხვა არაფერია მისი სადარდედი.

რაც წინარეხში შკოლა არსებობს, მას შემდეგ ვერ დათვლით, რამდენი მასწავლებელი გამოცვლიდა და ეეკლა ისე როგორ გაიფიცნენ, რომ გულ-გრძობით ეკიდებიან წინარეხის შკოლას. ან კი რას დაქებენ, რადესაც აზგარიშს აზავინა სთხოვს. მასწავლებელი უნდა ნამდვილი კეთილ-მოღვაწე აღამანი იყოს, რომ იზრუნოს ჩვენი ერის საკეთილ-დღეობით.

ასე ერთს და იმავე კალანტში გაუინუღია ჩვენი შკოლა. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელსაც ეს შკოლა ეკუთვნის, რა სამ წელიწადში ერთხელ გამოგზავნის ზედამხედველს შკოლის დასათვალიერებლათ და ისიც მოვალეობისამებრ იქცევა: გაივლის, გამოივლის, თითქო

აქ ჰქერის გამოსცვლელათ მობრძანებულებას, დაბრუნდება შვიდობიანათ და ამით ათავებს თავის ზედა-მხედველობას. იმედია აწი მაინც მოხედვენ ჩვენს დავიწყებულ შკოლას და ამის წერს-რიგს გააუმჯობესებენ.

მ. ქეშელაშვილი.

ხიღის-თავი (გურია). გასული წლის 21 დეკემბერს ხიღისთავის სამრევლო სკოლის დარბაზში მოხდა ხიღისთავის უფ. სამკითხველოს წევრთა კრება. კრებას დაესწრო 40 წევრი და ბევრი გარეშეები. განხილულ იქმნა: ა) წლიური ანგარიში შემოსავალ-გასავლისა. კრებამ საჭიროდ სცნო სარევიზიო კომისიის ამორჩევა განსახილველად შემოსვენებული ანგარიშისა და მის დასამტკიცებლად. სარევიზიო კომისიის წევრებათ ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ: 1) ნესტორ კალანდაძე; 2) თედორე კალანდაძე; 3) ჯარისმან კალანდაძე. კომისიას დაევალა თავის მოხსენება წევრთა კრებას წარუდგინოს პირველ ანგარამდე. მეორე: სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვის შესახებ კრებამ, დაადგინ წმედგვი: ა, მომავალი წლის პირველ ენკენისთვის უეჭველად ჰყილოს სასწალო ნივთები. კრებამ დაავალა ამის შესახებ ზრუნვა და თანხის შედგენა სამკითხველოს გამგეობას კომიტეტთან ერთად. ბ, გამგეობამ, როცა შესაძლებელად დაინახავს, ყილოს სამკითხველოს სასარგებლოდ გერბის და ფოსტის მარკები და ვექსილის ქალაღები. აგრეთვე კრებამ შესაძლებლად და სასურველად იცნო საშობოდ ჩამოატაროს მომღერლები „ალილოზე“ სამკითხველოს სასარგებლოდ. ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამოწერის გაწესრიგება კრებამ მიანდო კომისიას, რომლის წევრებია: ის. მეგრელიძე, თევდორე კალანდაძე, გიორგი ზანზაროვი, ნესტორ კალანდაძე, აპოლონ წულაძე, პავლე კალანდაძე, მოსე ჯუღელი, ლეონტი გოგიბერიძე და ისიდორე ლომაძე.

წევრებმა დაადგინეს: გამოირიცხოს საშუალოთ ხიღისთავის სამკითხველოს წევრთა რიცხვიდან ბსილეთის საზოგადოების სოფლის მწერალი ბ. ყარაშან ნინიძე შემდეგი მოტივების ძალით: 1, მან შეურაცხვე და საშიშს მდგომარეობაში ჩააგდო საზოგადოთ ქართული ზრესა და კერძოდ—გაზ. „კვლეა“; 2, შეურაცხვე ჩვენი საუკეთესო მწერალი ნინოშვილის ზირფხება და 3, ამით შეურაცხყო ჩვენი შეგნებული ინტელიგენცია; ამიტომ დაუბრუნდეს შემოტანილი საწევრო ფული. ეს უნდა გამოცხადდეს გაზეთში. ხელს აწერენ წევრნი სამკითხველოსი: 1, გოგოლი ბერიყიანისა, 2, ტერეზია რამიშვილისა, 3, ფუნდუ კობალაძისა, 4, ივანე კალანდაძე, 5, ლადიკო კალანდაძე, 6, კაცია კალანდაძე, 7, პავლე ივანესძე კალანდაძე, 8, მოსე ჯუღელი, 9, სერაპიონ რამიშვილი, 10, იესე კალანდაძე, 11, დიმიტრი კალანდაძე, 12, იასე კალანდაძე, 13, ლადიკო კალანდაძე, 14, მიხაკო სიხარულიძე, 15, დომენტი მეგრელიძე, 16, ისიდორე ლომაძე, 17, არტემ სიხარულიძე, 18, ლევან გოგიბერიძე, 19, ვ. კალანდაძე, 20, გ. ზანზაროვი, 21, ერემა ლომთათიძე, 22, მიხაილ კალანდაძე, 23, ალექსი კალანდაძე, 24, ალექსი ლომთათიძე, 25, ილია კალანდაძე, 26, ელისე კალანდაძე, 27, ლუკა კალანდაძე, 28, ანტონ რამიშვილი, 29, ნესტორ კალანდაძე, 30, ნესტორ კიკელიშვილი, 31, გიორგი ლომთათიძე, 32, თედორე კალანდაძე, 33, იასონ

მეგრელიძე, 34, პავლე ალექსისძე კალანდაძე, 35, აპოლონ ივანესძე წულაძე, 36, გიორგი კალანდაძე, 37, ილიკო ივანოვი, 38, ფილიპე სიხარულიძე, 39, ვასილ ლომთათიძე, და 40, თეიმურაზ კალანდაძე.

რ უ ს ე მ ი თ ი ს მ ხ მ მ რ მ მ ბ

ზათა სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ რკინის გზაზედ მოსამსახურეთ მიეცეთ სადგომო სახლები, თუ ეგუება არა, მომეტებულ ნაწილს მაინც იმ ფულის მაგიერ, რომელიც მათ ეძლევათ სახლის ქირათ, რადგანაც ამ ფულათ ხშირად ვერ მოუღობენ გზის სახელმწიფო სადგომს.

საშუალო აზიის რკინის გზის სასწავლებლების შესახებ უფრო-წიფი გადიდება თითო ვერსზედ 15 მანეთი. ამავე რკინის გზის შემოსავლიდან ამნაირის ანგარიშით მომავალს წელს სასწავლებლებისთვის გადიდება 35,310., — 2354 ვერსზედ.

უმადლეხად ნაბრძანებია მიეცეთ უფლება სახელმწიფო სამსახურისა იმ პირთ, რომელნიც თუმცა ეკუთვნიან ხარჯის მძლეველ წოდებას, მაგრამ კუჩხი დაუშთაგრებიათ პირველი ხარისხით სამიწადმოქმედო სასწავლებლებში ხერხობის სავრო სამუშაო და მოსკოვის სამიწადმოქმედო სასწავლებლებში, თანაც ითვლებიან საუფლისწულო უწყებაში საშტატო გამოწვების თანამდებობაზედ.

ბახმუტიდან იტყობინებთან, რომ, რადგანაც კონსტანტინელ-ბელგიის სპეციალურ ნაწარმოებთა ქარხნებში შეკვეთილი სამუშაო აღარა აქვთ, ანგარიშ გასწორებით მრავალი მუშები დაუთხოვნიან. საფარბიკო ინსპექციამ დაიუბულა ქარხნების ადმინისტრაციას იმაზედ, რომ ზამთარში უმუშაოთ დარჩენილ მუშებსა და ოსტატებს აღმოუჩინოს შემწეობა ათი დღის სამუშაოს ერთად მიცემით.

როგორც „ვარშავის დიური“ გადმოგვცემს, ზოგიერთა მეთაბრიკეთა და მექარხნეთ არ მიუციათ თავიანთ მუშებისათვის საჩუქარი ფული, რომელსაც უფლებების უქმეების წინ აძლევენ. ამის მიზეზათ თურმე ასახლებენ იმ გარემოებას, რომ უკანასკნელს ხანში მრეწველობა ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაშია.

ნოვგოროდის გუბერნიასი ამ წლის დასაწყისიდან შუშის ეგულა ქარხნებში აღარ იმუშავენ ემაწვილები კვირბობით და სხვა დღესასწაულებში. ასეთი განკარგულება მოუხდენია ადგილობრივ გუბერნიის საფარბიკო და სამთავადრო გამგეობას. მას 1899 წლის გასულს დაუდგენია, რომ 1901 წლის პირველ იანვრიდან მოისზოს ხატარა ქალთა (12 წლიდან—15-დე) მუშაობა ზემოხსენებულს დღეებში; 1901 წლის პირველ იანვრიდან-კი ვაუბი. ამნაირს დადგენილებას შეიძლება მოჭვევს ისეთი შედეგი, რომ ქარხნებში უქმე დღეობით აღარ იმუშაონ დიდებამც; რადგანაც ემაწვილების დიდებით შეცვლა შეუძლებელია და არც სასარგებლო მრავალ მიზეზებისა გამო. ჯერ ერთი, დიდებს უნდა მიეცეს 2—2 1/2-ჯერ მეტი ფასი; მეორე, უფლებების ვერ იშოვიან მუშებს, როგორც, მაგალი-

თად, ზაფხულში, რადგანაც მაშინ ეგულვან ნაკლებათ არის ემაწვილები; მესამე — ემაწვილების ასახრულებელ საქმეს დაემაწვილებენ, რადგანაც ისეთი მარდები და ცქვიტები ვერ არიან, როგორც ემაწვილები.

მომავალ შემოდგომაზე პეტერბურგის უნივერსიტეტთან დაახრებენ სპეციალურს კათედრას ფინლიანდიის უფლებებისა. ამ კათედრას, სხვათა შორის, მიზნათ ექნება მოამზადოს ფინლიანდიისთვის კანდიდატები სხვა და სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზედ. ამის მიხედვით უმთავრესი საგანი ახალ კათედრისა იქნება სახელმწიფო უფლება ფინლიანდიისა და მისი ისტორია — უმთავრესად გასულ მე-XIX საუკუნეში.

ფინანსთ: მინისტრს შეუმუშავებია კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ ფაბრიკის უწლოვანო მომუშავენი ვადლებულნი განადონ სკოლაში შესვლისა. პროექტის ძალით, ფაბრიკანტს ნება აქვს დაიჭიროს 12—15 წლის მუშა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სკოლის მოწმობა ექნება; თუ ასეთი მოწმობა არა აქვთ, ისინი ვადლებულნი არიან იარონ იმ სკოლაში, რომელიც ფაბრიკანტმა უნდა დაახრსონ. უმთავრეს შემთხვევაში ასეთ ფაბრიკის მომუშავეთა სკოლის შესახებ ხარჯს ტვირთულობს, გარდა ფაბრიკანტისა, ქალაქის თვით-მართველობას, თუ ფაბრიკა ქალაქშია, და თუ ფაბრიკა სოფლათ არის — სოფლის საზოგადოება; გარდა ამისა, პროექტის ძალით, 12—15 წლის მუშათა სამუშაო დღე განისაზღვრება 6 საათით. ეს პროექტი თებერვალში წარედგინება სახელმწიფო საბჭოს განსახილველათ.

მთავრობის განკარგულება

პიევის უნივერსიტეტში მომხდარ არეულობისა გამო წარსული წლის დასახრულში მთავრობამ სახალხოთ გამოაცხადა შემდეგი ცნობები:

ეს არეულობა არა უფილა უცაბედი, ან შემთხვევითი. იგი კარგა ხანი მზადდებოდა. ჯერ წასული წლის ივნისშივე სტუდენტების სხვა და სხვა ფარულს ორგანიზაციებს მოკნინათ ქ. რდესაში კრება, სადაც სდომებიათ შეემუშავნათ ერთგვანი გეგმა მთელი რუსეთის სტუდენტების სახელმძღვანელოთ. ამ კრებას დასწრების დელეგატები ეგულა ორგანიზაციებიდან. ერთი კრების დროს ეს დელეგატები დაუჭერიათ და წაურთმევიათ ეგულა დოკუმენტები, რაც კი თანა ქქონიათ თავიანთ საქმის შესახებ. ამ დოკუმენტების მიხედვით სტუდენტებს აზრათ ქქონიათ პროტესტი გამოეცხადებიათ აკადემიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენათა წინააღმდეგ, აგრეთვე დაეწოთ სტუდენტთა შეერთებული მოძრაობა. კრების მოსწილენი თუმცა დაუჭერიათ, აზრი მაინც გავრცელებულა ეგულა უნივერსიტეტებში, რასაც სტუდენტები აცხადებდენ სხვა და სხვა უწყობით. მაგრამ შესამჩნევათ თავი იჩინა ამ საქმეში პიევის უნივერსიტეტში. აქ საქმე ასე დაწეებულა. ერთი პროფესორი წასულა საზღვარ-გარეთ და მის მაგიერ ფაკულტეტის თხოვნით მეორე პროფესორს დაუწეია ლექციების კითხვა. ამნაირი შეცვლა სტუდენტებს არ მოსწონებიათ და დაუწეიათ მდელვარება, პირობის შეკვრა, რომ მის ლექციებზე აღარ ივლიან და სხ. ურილობებიც გაუმართავთ, რომ სხვა პროფესორი დაქნიმანთ მათთვის. ინსპექციის რჩევამ და თხოვნამ ვერ გასჭრა. სტუდენტებიც მანამდის არ დაწყნარ-



დენ, ვიდრე უსიამოვნო ზროფესორი არ გამოიყვანეს. მაგრამ ეს შვიდობა ხანგრძლივი არ იყო. 13 ნოემბერს სტუდენტებმა (700 კაცამდე) ისევ გამართეს ურილობა ახლა სხვა მიზეზით; უნდა გაესამართლებინათ ამხანაგისაგან ქუჩაზე ცუდი ქცევა. ამ ურილობაზე ინსპექტორმა დიდის ვაივაცხანით შეიძლო შესვლა და, კარგა ხნის რჩევის შემდეგ, სტუდენტები დაიუბუღა შინ წასვლაზე. ხელმძღვანელებმა მოახდინეს ურილობა 15 ნოემბერს. ამ ურილობაზე რექტორიც კი მოვიდა, მაგრამ არ აღაზარა. რამდენიმე ხნის შემდეგ დიდის ხმაურობით და სიმდერით გამოვიდნენ აუდიტორიდან, ისიც მაშინ, როდესაც ხელმძღვანელებმა დაითხოვეს, თორემ ინსპექციამ ვერა გააწყო. უმთავრესი დამნაშავენი ჩასწერეს და წარადგინეს დასასჯელად, რის შემდეგაც დაიწყო ჩვეულებრივ ლექციების კითხვა უნივერსიტეტში. რადგანაც ორგანიზაცია ნახევარში აღარაფერი არ ჩაუდგინათ სტუდენტებს, ამიტომ უნივერსიტეტის მთავრობამ შეუშინებულა ჩაწერილებს სასჯელი და გადაწყვიტა ოთხს კარცერში ჯდობა 5 დღე და მეტი — დანახეხებს ზოგიერთ შეღავათების ჩამორთმევა.

მაგრამ ორმა მათგანმა არ მოისურვა ამ სასჯელის გადახდა. მოიწვიეს სტუდენტები მეორე დღის (5 დეკემბერს) 12 საათზე ურილობისთვის. თუმცა ბეჯი შეიყარეს, მაგრამ ინსპექციის განკარგულებით. აუდიტორიების კარები დაკეტულა დაუხვდათ. მაშინ ისინი ავიდნენ ზეშო სათუღში, ძალით შემტვრიეს კარი და იქ მოკალათეს. შემოსენებულმა ორმა სტუდენტმა კი, თუმცა რექტორმა ბილეტებიც წაართვა, მაინც მიიღეს მონაწილეობა ურილობაზე. ურილობამ დადგინა მითხრობის: 1, კიევის უნივერსიტეტში არ ისჯებოდნენ კარცერით, 2, ორივე გამოცხადებული მიუღოთ უკანვე და 3, თუ ის ზირობები არ აურსულეს, იანვარში მოახდინენ „საერთო ობსტრუქციას“ (სწავლის ადგობას). მეორე მოწვიეს მოსალაშარაკებლად რექტორი, მაგრამ ის არ მოვიდა. სადამართო ევკლამ დიდის აზრით გაცილდა კარცერული ორი ამხანაგი. ამით საქმე არ გათავებულა. 7 დეკემბერს, 12 საათზე, კვლამ შეიყარეს უნივერსიტეტში. მითხროვეს, რექტორი მასულიყო, მაგრამ კიდევ არ მოვიდა. დებუტატებმა უთხრეს რექტორს, რომ სტუდენტები არ დაიშლებიან, ვიდრე არ გამოცხადდებით ოს მართლაც არ დაიშლენ მას შემდეგაც, როდესაც ლექციების შემდეგ ევკლამ კარები დაკეტეს, თანაც გამოცხადდეს, გასვლა შეუძლიან, შემოსულა კი — აღარა. მაინც გავიდა რამდენიმე სტუდენტი და ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ საკლდის და სახთლებით. შიგ მოფოთ გაუტეხეს კარი და შეუშვი ამხანაგები, მეორე კი თავისუფლად შედიოდ-გამოდოდნენ; ტპ ტეხეს მეორე აუდიტორის კარიც და შევიდნენ იქაც. მეორე და მეორე რომ თბილათ უფილიავეენ შინელების გამოსატანათაც წავიდნენ იქვე კარდერობში. ამ ამბავმა მიაღწია ბნებ რად გუბერნატორამდის, რომელმაც გამოცხადდა დაუფილიავეენი მათ დასამშვიდებლათ. მოვიდნენ აკრეფე ვინე გუბერნატორი და ჟანდარმთა უფროსი. სტუდენტებმა მათაც სთხოვეს, რექტორი მოსულიყო. მართლაც მოვიდა რექტორი სტუდენტებთან; ერთმა შთაგანმა გამოცხადდა ურილობის შემთხვევანილი გადაწყვეტილება. მოსმენის შემდეგ რექტორმა აუხსნა უსაფუძვლობა მათის თხოვნისა და წავიდა, ამის შემდეგ ევკლამ იქ მეორე სტუდენტები ჩასწერეს — აღმოჩნდა 396 კაცი. ამით ევკლამ ჩვენება ჩამოართო ცალკე მინისტრთაგან შემდგარმა რჩევამ და დადგინა გადასჯეინონ სასჯელი ამ არეულობის მონაწილეთ ჯარისკაცთ გაცხანით. მხოლოდ განა-

თლების მინისტრმა ზოგიერთი მუსლი ამ დადგენილების შესრულა ამხანათ: ჯარისკაცად გაიგზავნებინ 1, ორი სტუდენტი — სამის წლით; 2, ხუთი სტუდ. — ორის წლით; 3, 176 სტუდ., რომელთაც მიიღეს მონაწილეობა 7 დეკემბერსაც და წინათაც შენიშნულები იყვნენ — ერთის წლით. — მხოლოდ დანახენ 209 სტუდ., რომელთაც მიიღეს მონაწილეობა მარტო 7 დეკემბერს, და წინათ კი არა უფილან შენიშნულნი, გამოცხადდნათ საუვედური და ჩაწერილ იქმნენ საჯაროო ყურნაღში, მთესმთ უფილიავე უზირატისობა მთელი კურსის განმავლობაში და გამოცხადდნათ, რომ, თუ კიდევ იქმნებინ შენიშნულნი ახალ არეულობაში, მაშინ ეხლანდელი საქციელი მათ ჩათვლიათ მძიმე დანაშაულად.

რუსეთი მე-XIX-ე საუკუნეში

III.

წინა წერილებში ჩვენ მოკლეთ გამოვარკვეით რუსეთის წასული საუკუნის ეკონომიური და კულტურული წინმსვლელობის ევოლიუცია. ამ წერილში-კი გვიხდა უფრო ვრცლათ შევეხებთ საზოგადო ევოლიუციასთან თანამგზავრს კანონმდებლობის განვითარებას, რომელმაც სრულიათ შესრულა რუსეთის წეს-წიბილება და თან-და-თან შექმნა თანამედროვე ფორმები სახელმწიფოს ცხოვრებისა.

გასული საუკუნის დასაწყისში ჩვენი კანონმდებლობა არეულ მდგომარეობაში იყო. იმ დროს ჯერ კიდევ პეტრე I-ის და იმპერატრიცა ეკატერინა მე-II-ის კანონები მოქმედებდნენ, ამასთან ეს კანონები ქადაგდებდნენ უფრო არსებობდნენ, ვინც ცხოვრებაში, სადაც დამახინჯებულათ ასრულებდნენ, განსაკუთრებით შორეულ პროვინციებში. მაგრამ მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან უკვე თან-და-თან ნათლათ ირკვევა მისწრაფება უფრო მტკიცე ტერტრალური მმართველობის დასამყარებლათ, რათა საშუალოთ გაამაგრონ თვითმშერობელობისა და ერთმშერობელობის პრინციპები. ისეთ გამოჩენილ სახელმწიფო კაცსაც კი, როგორც სპერანსკი იყო, ძალიან ბუნდოვანათ ესმოდა ერთმშერობელობითი მმართველობა. სპერანსკი, თავის ზირველი პროქტით, ზირიქით, წინადადებას იძლეოდა კანონმდებლობითი საქმეები გადაეცათ სახელმწიფო საბჭოსთვის, რომელიც უნდა აერჩია მთელს რუსეთს, მსგავსათ საფრანკეთის 1799 წლის კონსტიტუციისა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტეს, კანონმდებლობა ჩაებარებიათ სახელმწიფო რჩევისათვის.

ამ ნაირათ თვითმშერობელობის პრინციპი დაცულ იქმნა, რადგან სახელმწიფო რჩევისა არც ერთი აზრი არ შეიძლება კანონათ იქცეს უმაღლესი მთავრობის დაუბტვიცებლათ. სახელმწიფო რჩევის კარდა, ფართო უფლებანი ქმნდათ მინისტრული მინისტრებსა და სამინისტრო კომიტეტს და სშირად მეტი უფლებითაც სარგებლობდნენ, ვინც სახელმწიფო რჩევა. ჯერ კიდევ 1826 წელს სამინისტრო კომიტეტი უხვათ სარგებლობდა მინისტრული უფლებით წარედგინა კანონები დასამტკიცებლათ ზირდაზირ ხელმწიფისათვის. ამხანათ ცხოვრებაში სამკვარი სახით გამოდიოდნენ კანონები: ზირველი „უმაღლესათ დამტკიცებული აზრი სახელმწიფო რჩევისა“; ეს მაშინ, როცა სახელმწიფო რჩევაში უმრავლესობა კანონის მომხრე იყო; მეორე „სახელობითი ბანებით“, როცა ხელმწიფის მიერ მოწო-

*) 3. მილიუკოვი. Очерки по истории русск. культуры, 83. 159.

ნებულ კანონს ემხრობოდა უმცირესობა და შესე, „უმაღლე-
სი ბძინებით“, ეს — რცა კანონი იცემა ხელმწიფის ბძინებით,
ან მინისტრთა კომიტეტის წარდგენილობით. ამ სამკვარი სა-
ხით გამოცემული კანონები სრულად იცავდენ ერთმხერობე-
ლობის უზინტესობას, რადგან არც ერთს კანონს არ შეუძლია
კანონობა გასწიოს სანამ ის უმაღლესათ არ დამტკიცებულა.

რცა თვითმხერობელობამ უკვე საბოლოათ შეიმუშავა თა-
ვისი ბრინციების ცნობრებაში გამტარებული ორგანოები, ჩვე-
ნი კანონმდებლობაც დადგა აბოლიტურ ცენტრალიზაციის
გზას. ინიციატივა და კანონების გამოცემა მიეიწა მთა-
ვრობის უმაღლეს დაწესებულებებს, რომელთაც მუდმივი
სამუოფია სარტრტო ქალაქში. მაგალ., სამინისტროში
ასეთი წესია: მინისტრი, ხელმწიფე იმპერატორის მინ-
დობილობით მის მოკალეობათა დანიშნულებისამებრ, თვითონ
აძლევს მიმართულებას მთელს რუსეთში მის ხელქვეით ორგა-
ნოთა მოქმედებას. უმაღლესი საგუბერნიო მოხელენი დებულა-
ბენ ბძინებებს მინისტრისაგან, ხოლო ესენი თავის მხრით გა-
დასცემენ ამავე ბძინებას მოხელეთა მთელს წევბას, რომელთაც
მოჭყავთ ისინი სისრულეში. ცენტრალიზაციის რამდენიმეთ
სისუსტე ემხნევა იმპერატორის ალექსანდრე მე-II-ის დიკტულ
რეფორმათა ებაქში. იმ დროს გლენთა განთავისუფლებამ გა-
მოიწვია სახელმწიფო ცნობრების სსვა სფერაშია ცვლილებათა
საჭიროება; მაგრამ ეს ცვლილებანი შესაძლებელი შეიქნა მხო-
ლოდ მაშინ, თუ სამოქმედოთ მოიწვევდენ რუსეთის საზოგადო-
ებრივ ძაღდობეს. და, აი, კიდევაც არსდება ერობა, რომელსაც
ენიჭება მარტებისა და მთელი გუბერნიების ჭირ-ვარამზე ზრუ-
ნვა, — ქალაქებს ეძლევა თვითმართველობა, ჩნდება ამოჩეულ
მომრიგებელ-მოსამართლეთა დაწესებულება, ნათიც მსაჯულთა
სამსჯავრო და სხ.

მაგრამ ეველა ეს დაწესებულებანი სისრულეთ არსებობდენ
მხოლოდ იმ დრომდე, სანამ საჭირო იყო გადასვლა ბატონიუ-
რი წესწეობილებიდან ახალ დროში. რცა კი მთავრობამ საკმა-
ოთ მოიმაგრა ოქსეები და მეტათ აღარ საჭიროებდა საზოგა-
დობრივ ძაღის დახმარებას, ალექსანდრე მე-II-ის ეველა ამ
დადგენილებებმა შესამჩნევი ცვლილება გამოვლეს. ისინი უფრო
დაუმოჩნილეს სარტრტო ქალაქის ცენტრალურ ორგანოებს და
ჩაყენეს მეტს კონტროლსა და მეთვალურეობის ქვეშ. შემ-
ცირდა რაოდენობა ერობისა და საბჭოს წევროთა და მათი მოქ-
მელება დაუმოჩნილეს ადმინისტრაციის მკაცრს მეთვალურე-
ობას და სავადლებულა ნებართვას, თუმიცა თავიანთ საქმეში
მათ დაუტოვეს ინიციატივის უფლება, მაგრამ სავადლებულათ
გაუხადეს წარუდგინონ ადმინისტრაციას განსაჯულათ და ნების
დასართველათ. სამსჯავრო და სახალხო განათლებაც მთავრობის
დამოკიდებულებებში მოქცა. მხოლოდ ამ ბოლო ხანებში მრეწვე-
ლობის ძლიერმა ზრდამ და მსხვილ კაბიტალისტთა კლასის
გაჩენამ ჩვენს ქალებში ადრკა კითხვა, რომ ქალაქებს გაუფარ-
თოდეს თვით-მართველობის უფლებათა ჩარჩოები, რადგან
მრეწველობის ზრდა თხოულობს ზოგ დახვასებულ იურიდიულ
ფორმათა უფრო სწრაფ შეცვლას. სამწუხროთ, დროებით ეს
კითხვა განზე გადაიდვა ჩინეთთან ომის მიზეზით, რომელმაც
მთავრობის მთელი უფრადლება მიიწერო. ერობა კი, სდაც შე-
მოდებულ იქმნა სახელმწიფო სამსჯავროები და ერობის უფ-
როსთა ინსტიტუტი, კიდევ რეფორმებს ელოდება და, უპჭვე-
ლია, ამ სახით საქალაქო რეფორმები დასწრებენ სავრობოსას,
თუმიცა დეემდე უკანასკნელი უწრებდა ზირველს.

ასეთი გადასხვაგვარება აიხსნება რუსეთის საზოგადოებრივი
ნომიური ევოლიუციით. სანამ რუსეთში უზინტესობის უჭირავს
სამეურნეო ინტერესებს და ხელდ მასალათა მწარმოებენი შე-
ადგენდენ გადამხედლთა უმთავრესს დედა ბოძს, მთავრობის,
საზოგადოების და ზრესის მთელი უფრადლება ერობისაგან იყო
მიწერობილი. მაგრამ წასულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედ
წლებში ეველასათვის ცხადი გაჩდა მსხვილი სამშინო წარმოე-
ბის ინტენსიური ზრდა: მრეწველობასა და მასში დაბანდული
მომუშავეთა კლასის (ინჟინრებს, მეხანიკებს, ტეხნიკებს და სხ.)
თანდათან მეტი მნიშვნელობა ეძლევა სახელმწიფოში, ხოლო
რადგან ესენი უმთავრესათ ქალაქებში ცნობრებენ, კითხვა ადრკენ
იმის შესახებ, რომ ქალაქებს მეტი დამოუკიდებლობა მიეცესთ, ვი-
დრე ერობებს და რომ ეს ასეა — ამას ის გარემოებაც ამტკიცებს,
რომ საქალაქო თვითმართველობის რეფორმათა კითხვებში დიდა
მონაწილეობა მიიღო თვით ოფინანსთა მინისტრმა ვიტტემ.

კანონმდებლობის სსვა სფერაშიაც მოხდა საკმაო ცვლი-
ლებანი, როგორც, მაგალითად, ზირადი უფლებების, ბეჭდვის,
სამხედრო ბეგარის და საფაბრიკო კანონების შესახებ.


ქალაქის წვრილ მესაკუთროთა (მეშხინთა) და ხელო-
სანთა წოდებანიც ძველ არხიულ კანონმდებლობაში იმოოფე-
ბიან და ვაღდებულნი არიან მიეწეონ ამა თუ იმ საზოგადოე-
ბას, ხოლო წევროთა უნებურათ, როგორც გლენებს, არც მათ
შეუძლიათ მოციღდენ საზოგადოებას, ან ჩინიბონ სსვა სა-
ზოგადოებაში. ამ უკანასკნელ ხანებში, მართლთა, უკვე ადრკენ
კითხვა საქალაქო წოდებთა უფლებების ცვლილების შესახებ და
ახლო მომავალში კიდევაც უნდა გადაწედეს იგი.

ბეჭდვითი სიტუვა, რომელიც წინათ ექვემდებარებოდა გა-
თლების სამინისტროს, 1863 წ. გადავიდა შინაგან საქმეთა მინის-
ტრის ხელში. ზირველათ მხოლოდ წინასწარი ცენზურა არსებობდა,
შემდეგ კი ნება დართეს ზოგ გამოცემებს, უცენზუროთ დაბეჭ-
დილიყო.

სამხედრო ბეგარის კანონებშიაც შესამჩნევი ცვლილება მო-
ხდა. ზირველათ შემოკლდა სამსახურის ვადა, მეორედ — სამხედრო
ბეგარს გახდა საფოველთაო, რცა წინათ სასულეორო წო-
დებსა და ახსურობა გამოჩინებული იყენენ ამისგან და ის მთე-
ლი თავისი სიმძიმით კისრათ აწვა მარტო გლენობას. ეს რე-
ფორმაც-ბატონუმობის მოსზობის შემდეგ მოხდა, რცა გლე-
ხები, შედარებით, უფრო თავისუფალ მოქალაქეებათ იქცენ.

მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია საფაბრიკო კანო-
ნების საჭიროებაც და თვით მრეწველთა უფლებების გაფართოვება.
მრეწველებმა მართლაც საკმაო ფართო უფლებები მოიბოვეს;
მათ ნება მიეცათ მონადინონ კრებები, დაასრონ სინდიკატები,
სავროთთ იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე თავიანთ გაჭირ-
ველასა და საქმეებზე. თავიანთი უფლებებით ისინი საკმაოდ
სარკებლობენ და ხშირათ შუამდგომლობენ ამა თუ იმ შეღავა-
თის მიცემასზედ მრეწველობისათვის, უცხოეთის საქონელზე
ბაყების აწევაზე, რათა თავიდან მოცილონ მათი კონკურენცია.
სამუშაო კანონთა ცვლილება კი თავის რიცს უცდის და ამ გზა-
ზე ზირველი ნაბიჯი გადადგომულიც არის. დაწესეს საფაბრიკო
ინსპექცია და გამოსცეწ 1897 წლის 2 ივნისის კანონი სამუ-
შაო დღის გაწესრიგების შესახებ, რომლითაც დაწესებულა-
კანონით 11 1/2 საათი სამუშაო დღე.

Nord.



გ ა ნ ჯ ა შ ი.

საზღვარ-გარეთ

ონგლისი. დედოფლის გადაცვალას თან მოჭევა მისი მეკვიდრის, უფროსი ვაჟის ტახტზე ასვლა. ის გამოედა ედუარდ მე-VII-ის სახელით. ეს გამოეება დიდი ცერემონიით შესრულდა. ზირველათ შეუე მივიდა საიდუმლო რჩევის დარბაზში, სადაც შეგროვადიუვენ რჩევის წვერები ჰერცოგი დუონშირის თავმჯდომარეობით. შემდეგ დარბაზში შეიუვანეს ჰრინცი და ღორდ-კანცლერმა დააფიცა ის ქვეუნი და კონსტიტუციის ერთგულებაზე. შემდეგ თვით წვერებმა შეჭეიცეს მას. შუორე დღეს მეფის ტახტზე ასვლა სჯარათ მოხდა სენჯემსის სა-

სახლის უზოში. ჰროკლამაცია წაკითხულ იქმნა ბირჯაზე ღორდმერის თანადანწრებით. ამიერიდან შეუე დიდი ბრიტანიის და ირლანდიის და იშვერტარი ინდოეთისა იწოდება ედუარდ მე-შვიდეთ.



საზრანგეთი. 2 იანვარს საფრანგეთის ჰალატა შეუდგა იმ კანონის განხილვას, რომელიც კონგრეგაციებს შეეება. ჰირველმა სხდომამ ჩაიარა არა ჩვეულებრივ წუნართ და ხალხით საესე დარბაზმა უურადღებით მოისმინა ორი ორატორის— ზომიერი რესპუბლიკელის რენო-მოდერიისა და სოციალისტის ვუვიანის სიტყვები. ორივე ორატორი მომხრეა კონგრეგაციე-

ბის შესახებ კანონ-მდებლობის რეფორმისა, მაგრამ წინააღმდეგია ვალდებულებას ზრუნვისა რენ-მოლიერი იმიტომ, რომ, მისი აზრით, ეს ზრუნვა ძალიან შორს მიდის, ხოლო ვიგანია-კი იმიტომ, რომ ეს ზრუნვა არ მიდის შორს. რენ-მოლიერის სიტყვით, მთავრობას სურს თავისუფლება მიანიჭოს ასოციაციებს, მაგრამ მაშინვე ძირს უთხრის თავისუფლებას, როგორც-კი საქმე კონგრეგაციებს შეეხება. უფრო საუბრადღებოა მერე ორატორის—ვიგანის სიტყვა, რომელიც ცოტა შემოკლებით მოგვყავს აქ: «კონგრეგაციები—თქვა ვიგანმა—ზირდაზირ ეწინააღმდეგება საერთო სახელმწიფოს ზრუნვას. მათში შემავალი წევრები იძლევიან სიღარიბისა, უბიწოებისა და ბრძოლი მორჩილების აღთქმას. ასეთი აღთქმანი საზოგადოთ ანტი-სოციალურია, მაგრამ უკანასკნელი აღთქმა-კი (მორჩილება) ზირდაზირ უკანონოა და შეუწყნარებელი თანამედროვე სახელმწიფოში. მონობა და ბატონ-ემობა გაუქმებულია და აღამახი თავის თავს მონათ ვერ გახდის. ხელშეკრულება მთელი სიცოცხლით მუშის დაქირავების შესახებ აღკვეთილია კანონით. და ხომ არ შეიძლება ორ ნაირი იყოს თავისუფლება: ერთი—ერის კაცისათვის, ხოლო მეორე-კი ბერისათვის! არსებობს ერთი—აღამახის თავისუფლება. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია კონგრეგაციები და ასოციაციები ერთმანეთში აურიოთ იმ დროს, როდესაც ასოციაციები ჭკრივით თავისუფალი უნდა იყოს, კონგრეგაციები კანონით უნდა აკრძალულ იქნას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან სულაც თავი დავანებოთ ასეთ იურიდიულ და ფილოსოფიურ განსაზღვრას... ჩვენ ვცხადებთ მწვავე ბრძოლის ყაშს. კონგრეგაციები მრავალდებიან, აკრძალვენ აუარებელ ქმნებს და ხმარობენ მას იმისათვის, რომ დაამხონ რესპუბლიკა. ჩვენ აქ შეგვიძლიან არა როგორც ფილოსოფიები, ან იურისტები, არამედ როგორც პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც პოლიტიკური მოვალეობა გვაწევს კისრათ—შევიმუშავოთ საბრძოლველი კანონი დასაცვლათ დიდი რევოლუციის ნაანდერძვისა, რომელსაც საფრანგე მოქალაქე. კანონ-ზრუნვის ბედ-იღბალი ჯერ არ არის გადაწყვეტილი.



ბერმანი. ლიბერალთა დემოკრატია ბარტი თავის ყურნალ Die Nation-ში მოუწოდებს გერმანიის მუშებს და ურჩევს წინააღმდეგ მთავრობის განზრახვას, ბაყის მომატების შესახებ. ბარტის აზრით, წინათ, სანამ მუშათა ზარტის ვიწრო შეხედულება ქონდა თავის როლზე და ზრუნვით ზოლიტიკაში უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა, მუშებს შეეძლოთ დაცინვის კილოთი ეთქვათ, შინური დავა ბურჟუას და შემამუღეთ შორის ჩვენ არ შეგვიხება: ახლა-კი, შენიშნავს ბარტი მუშათა ზარტის შეთავრებს, თქვენ ასე აღარ იტყვიან, რადგან თქვენი შეხედულებაც შეიცვალა და თქვენი ზარტიც ძლიერ პოლიტიკურ ზარტიად გადაიქცა. ბარტი ამტკიცებს, რომ ზურზე ბაყების მომატება გააძვირებს ზურს და ეს ცუდ მდგომარეობაში ჩაყენებს მუშა-ხალხს. მუშებს უფლება აქვთ არ ენდონ ბურჟუასის რომელსავე სხვა საქმეში, მაგრამ უნდა იმდროს ადგილი არ აქვს, როცა ფაბრიკანტებთან და ვაჭრებთან კავშირი სასარგებლოა მუშების ინტერესებისათვის. ჩვენ წინააღმდეგობას ვაძლეოთ, განაგრძობს ბარტი, თქვენი ხელით ჩვენთვის ეკალი არ მოთხაროთ; ჩვენ მხოლოდ თქვენს გონიერებას მივმართავთ: თუ აგრარებმა განხორციელეს თავისი განზრახვა, ჩვენ დავკარგავთ ჩვენს მილიონებს, მაგრამ თქვენც მხოლოდ ხელი ბურჟუის უნდა მოგიგდებოდეს. მთავრო-

ბა, ვარწმუნებს მოწოდების ავტორი, თანუგრძობს რიგებს მხოლოდ იმ იმედით, რომ მუშა ხალხი დიდ წინააღმდეგობას არ უწევს მათ. ასეთი წინააღმდეგობა და ბრძოლა-კი მუშებს დიდ სარგებლობას მოუტანს: გამარჯვება ამ ბრძოლაში გააძლიერებს მათ პოლიტიკურათ და დაამხობს იმ ზარტიან, რომელიც რეაქციის ემსახურება.



— ზრუნვის ლანდტაგში, რომელიც კონსერვატიული უმრავლესობისაგან შედგება, ხელ-ახლა დაიწყო „საინტერესო დებატები“. ამ 4—წლის წინათ ისე არ შეივრებოდა ლანდტაგი, რომ „Socialisten gefahr-“ზე „სოციალისტების საფრთხეზე“ დიდი ხმაურობა არ ატეხათ. ეს იყო მაშინდელი მათი „საინტერესო დებატები“. მაგრამ ეს ერთი ხანია ამას თავი დაანებეს და, რომ „სამშობლოს ბურჟუა“ სახელი არ დაჭარბოდათ, ხელ-ახლა დაიწვეს „საინტერესო რეპები“, მაგრამ ამ ჟამად არა სოციალ-დემოკრატიაზე, არამედ პოლიტიკაზე. „პოლიტიკისაგან საფრთხე“—აი რა გაისმა დემოკრატთა საკრებულოში ამ ერთი კვირის წინათ. ზირველათ დემოკრატმა იგლეგსკიმ განაცხადა, რომ მთავრობა ერთობ ძრიელ სასტიკათ ეუბრობა პოლიტიკას. ამის ზასუხათ მინისტრმა მიკელმა თქვა შემდეგი: ჩვენ უფიქრობთ, რბილათ ვეუბრობოდით პოლიტიკას მაგრამ აქედან არა გამოვიდა-რა. განა მათ არა აქვთ უფიქრობის ის უფლება, რაც ნემეტებს აქვთ? მიუხედავად ამისა, მათი ზრუნა შეურიგებელ პოლიტიკას ადგია. პოლიტიკები უფიქროს ხარ კითხვასში გერმანელებთან ცალკეულებთან და მხარს არ გვიჭერენ. რას ელტვიან ისინი? განა ფიქრობთ (მიუბრუნდა პოლიტიკა), რომ ოდესმე სამშობლოს დემოკრატებობა მოიხვედრის! თუ ასე არ ფიქრობთ, მაშ იყავით სახელმწიფოში თქვენი მოვალეობის მცოდნე. ჩვენ ძალიან გვინდა პოლიტიკური მოხელენი გვეყავდეს, მაგრამ არა მათ სამშობლოში, სადაც ჩვენ პოლიტიკას წინ ედობებიან, არამედ სხვაგან, გერმანიის დანარჩენ ნაწილებში. პოლიტიკები უნდა დაწმუნდნენ იმაში, რომ ჩვენი მთავრობა წინააღმდეგობით არასოდეს არ მოეუბრობა მათ და ამას შეეწონს. (ვაშა მარჯვნივ). ჩვენ ავტორიტეტ პოლიტიკურ ენაზე სწავლება სადმერთო სჯულისა პოლიტიკის სახელმწიფო სასწავლებლებში და ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ვითამ მათი საწმუნებების წინააღმდეგი ვიყოთ, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკათა სასულიერო ზირები საწმუნებებს გერმანელთა წინააღმდეგ აკოტიციისთვის ხმარობენ. დემოკრატია ჩანი (კონსერვატორი): საყვედურის დირსი არიან ჩვენი მრწამსნი იმისათვის, რომ პოლიტიკა მუშებს ქირაობენ და ამით გერმანიის ნაწილებსაც პოლიტიკები.

— დემოკრ. შმიდინგი (ნაციონალ-ლიბერალი): ბ. ჩანი უსაყვედურებს მრწამსელთ, მაგრამ დავიწყებია, რომ მუშენი კიდევ უფრო ეტანებიან პოლიტიკა მუშებს. პოლიტიკათა მოთხონილება, რომ გერმანიის სამრწამსლო რაიონებში კრებებზე პოლიტიკური ენა იმხარებოდეს, ერთიანათ უსაყვედროს და არასოდეს მისი მიღება არ შეიძლება. ამათ ზასუნი გასცა პოლიტიკა დემოკრატებმა, რომელთაც თავის მხრივ უზასუსა განათლებების მინისტრმა შტუდმა. მან თქვა, რომ პოლიტიკათა კითხვა მთელი გერმანიის კითხვაა. ჩვენ გვინდა გერმანელთა უფროსობა განამტკიცოთ იმპერიის ყველა კუთხეებში. პოლიტიკათა ახალგაზდობას გულში უნერგვენ გერმანელთა სიძულვილს; თვით კაკლესიებშიაც ხმარობენ ისეთ ლოცვანებს, სადაც სწერია:



დმერთო გვიხსენი ზრუსიელთაგან! ჩვენ ეს ლოცვანები ადგი-
რდადეთ. დეე ზოლონელებმა გაიგონ, რომ ისინი გერმანელები
უნდა იყვნენ, სხანა ზრუსია მათ განაგებოდა შემდეგ კიდევ ილა-
ზარაკა რამდენიმე ამავე საგანზე და „საინტერესო დებატაც“
დასრულდა. აქვე უნდა მოგვხსენოთ. რომ ლანდტაგი შესდგე-
ბა 433 დეპუტატისაგან და მათში ზოლონელებია მხოლოდ 13.

ინგლის-ბრანსვალის ომი. ბურები არ იშლიან
თავისას და იმავე თავ-განწირვით იბრძვიან. მათ გადაუწყვეტიათ
ან თავისუფლება მოიპოვონ, ანა და მთლათ გაიყლიტონ. ისინი
ეურთხანაც არ იკარებენ არავითარ მოლაზარაკებს იმის შესახებ,
რომ ზავი იქნას ჩამოგდებული ინგლისელთაგან დადებულ ზი-
რობებზე. ამ აზრის შესახებ მიიღო ორანჟის ბურებისაგან სამ-
შვიდობო კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელიც 5 იანვარს
წავიდა მათთან მოსალაზარაკებლათ. ზავის ჩამოგდების მაგიფ-
რათ, ბურები სულ უფრო მრავლათ აწეებან კაპის ახალშენს.
ინგლისელებს, როგორც ისმის, ვერავითარი საშუალებით ვერ
შაუკავებიათ ეს მოძრაობა. დიდ განსაცდელს მოკლას ბურები-
საგან კაპის ახალშენის მთავარი ქალაქი კაპშტადტი, რომლის
მთავრობის წარმომადგენელთა კონფერენცია ქქონდათ ქალაქის
დასაცველ ზომების მისაღებათ. და არა მარტო კაპშტადტი,
სხვაგანაც არაფერი და არავინ უზრუნველ-ყოფილა არ არის
ბურებისაგან. 12 იანვარს, მაკალ., ბურები თავს დაესხნენ იმ
მატარებელს, რომელსაც კიტჩენური და მრავალი ინგლისელი
ჯარი მიჰყვდა მადლობურვისაკენ; მატარებლის ორთქლმავალი
მათ ღინამიტით ააფეთქეს და გადაადგეს ღიანდაგიდან; შემდეგ
სრულა ასტენეს, ინგლისელებმა შესუხი მისცეს და გარე-
გეს მტერი, რომელიც საკმაოდ დაზარადა, ინგლისელებს კი
არავითარი ზარალი არ მისცემიათ. ფურტენსტემთან ბურებმა
დაანგრეს რკინის გზის ხიდი და დაიჭირეს სამხედრო მატა-
რებელი. მათ ხელში ჩაიგდეს აგრეთვე საქონლის მატარებელი
სამხედრო სუქსათით. წართმეულ მატარებლის უკან დასაბრუ-
ნებლათ ინგლისელებმა ბურებს უკან დაადგინეს სამხედრო მატ-
არებელი 200 ჯარის კაცი. ბურებმა დაატყვევეს ოცამდე
ზოლიციელი, რომელთაც არავიმაფი წინააღმდეგობა არ გაუწე-
ვიათ მათთვის.

ჩინეთი. რუსეთის ელჩს გირსს, როგორც ზეკინიდან
იუწყებან, განუცხადებია: ჩინეთსა და რუსეთს შორის რომ
რამე ხელშეკრულება მომხდარიყო, მაშინ მე ხელს არ მოვა-
წერდი სახელმწიფოთა საერთო ნოტისათ; მართალია, ისიც შესაძ-
ლებელია—უთქვამს ელჩს,—რომ მანჯურიის შესახებ განსაკუთ-
რებული ზირობები იყოს დადებული, მაგრამ ეს ზირობები არ
ენება რუსეთის ხელშეკრულებას სხვა დანტერესებულ სახელმ-
წიფოებთან. გირსს არა ჰგონია, რომ რუსეთმა მანჯურიის დას-
კუთრება მოინდომოს, მაგრამ შესაძლებლათ მიაჩნია, რომ რუ-
სეთმა დაიგვას მანჯურიაზე გასაუფანი რკინის გზა. რაც შეეხება
ომის საქმეს და სახელმწიფოთა მოლაზარაკებს ჩინეთთან, ამის
შესახებ უკანასკნელი დებულები გვაუწყებენ. სადინდომატო
კარბუსმა ერთხმით დაადგინა მიმართოს ზრინეს ცინს და ლი-
ხუნგჩანგს წერილით, რომელშიაც გამოთქმულაა, რომ სახელ-
მწიფოთა დონისძიება სამხედრო საქმეთა მოსარაკებლათ დამო-
კიდებულია იმ სისწრაფეზე, რომლითაც ჩინეთის მთავრობა
დანარჩენ ვადლებულებს შეასრულებს. სადინდომატო კარბუსი
მოითხოვს სიკვდილით დასჯილ იქმნას ჩინეთის ომის წარ-
ჩინებული ზირი, მათ შორის ჩუხი და ინიჟე. ამასთან კარბუსი

დამატებით მოითხოვს სიკვდილით დასჯას უკვე კარდაცვალებულ
კანიისას და აგრეთვე გენერალ ტუნფუსიანისას. შანსაიგუანის
რკინის გზა უკვე ჩაბარეს რუსებმა და გერმანელებმა. ამ
უკანასკნელთ განზრახვა აქვთ დროებით თავიანთ ხელში დაი-
ტოვონ ეს გზა სამხედრო მიზნით; ინგლისელები ამის წინა-
ღმდეგნი არიან და ამიტომ ეს საქმე განსახიფველათ გადაეცა
ორივე მთავრობას. ვადდერსეეს განზრახვა ქქონია გავიდეს ჩი-
ნეთიდან აზრილის გასულს.

პრომეთეოსი

(პოლონურიდან)

თხზულება ნემოჟესკისა

(დასასრული *)

გერმესმა დაასრულა. წალკოტიდან მოისმოდა ტერ-
პსიხორას გუნდის მხიარული სიმღერები. ღმერთი ქუხი-
ლისა ანთებული შუბლით შეეხო ცივ მარმარილოს ბოდს
და ორად-ორი მარცვალი ცრემლი ჩამოჰგორდა მის
ხელმწიფურ სახესა და სქელ წვერზე, დაეცა ოქროს ქვი-
შაზე და ვარსკვლავებით აბრწყინდა. ქუხილის ღმერ-
თმა ანიშნა და გერმესი გამოვიდა.

იუპიტერი ჩაფიქრებული დადროდა ბოდთა შუა და
ყურადღებას არ აქცევდა აპოლონს. აპოლონის მშვენი-
ერი თვალები კი ამ დროს ბრწყინვალე მთვარეს მისჩე-
რებოდენ; ბოლოს მომარაა მან ქნარი, გაჰკრა სიმებს და
წყნარის ხმით დაჰმღერა. ნიავის ოხვრასავით მოედო
წალკოტს მისი მომხიბლველი ხმები. გამოაუთქმელი სი-
ნაზით ათრთოლდა მთვარის შუქი. აპოლონი მღეროდა.

„სტოვებს მწვანე წალკოტს ღამფრთხალი სიყვარული.
ამაოდ ებატყებიან მას უზრუნველნი, ამაოდ სცდილობს
პსინეა, მოყვარული გულით ვადაულობოს მას გზა, სულ
ტყუილია. ზეგარდმო ნიჭის ღვთიური სიყვარული გარ-
ბის! მას თან მისდევს მწარე სიცილითა და გვირგვინო-
სან თავის ქანდურით ვაკხი. ის ხედავს, შიშისაგან რო-
გორ დამფრთხალ ტრედებით ცახცახებენ ნიმფები;
როგორ უვარდება აკანკალებულის ხელიდგან იუპიტერს
ურჩი ქუხილი, როგორ ეხება შუბლით ცივ ბოდს და
თვალთაგან, მფრინავ ვარსკვლავებით, სცვივა ცრემ-
ლები, რომლებიც ოქროს ქვიშაზე იბნევიან. ნისლში
ეხვევა ოლიმპი. ნაზი, სუსტი სინათლე-ლა იქერს ბნელს
საფარველს. ილუბება, ილუბება ოლიმპი და ერთათ-ერთი,
სხვებისავით აჩქარებული, უკანასკნელი მომღერალი-ლა
უგალობს ღმერთთა ცხოვრების, ღვთიურ სიყვარულის
და ღვთიურ სიმღერათა უკანასკნელ წამებს!“

„აქ შემოიჭრება ბნელი ხალხი, ფეხით გასთელავს
ვარდებს, ძირიან მოსაზრის წალკოტის ამწვანებულ ბუჩ-
ქებს, ვანდენის ღვთიურ აფროდიტას**); ბრძენ მინერ-
ვას და ცხრა მუზათა მშვენიერ გუნდს. მოკრძალების
ნაბიჯით წავა აქედან ტერპსიხორა; ამათ ნაცვლათ ბნე-
ლი ხალხი შემოიყვანს მკერვალ ქალებს, რომელთა
ტლანქი ხელები აიღებენ დიდებულ გვირგვინს და შე-

*) იხ, № 3.

***) აფროდიტა—ქალ-ღმერთი სიყვარულისა.

უმკობენ მით თავს ხაზას კავკასიის ველური მთისას... და მიეცემიან დავიწყებას უკვდავი ღმერთნი... ოლიმპი გახდება უგუნურ ხალხის ჩვეულებრივ სავლელ გზათ. დაიღუპება სამეფო სილამაზისა, სიყვარულისა და ნექტარისა! ყოველგვარ ვარღვე უფრო ფეროვანი გახდება გაღადრული ქრილობა პრომეთეოსისა“.

ქვემოდამ ამოვარდნილმა ღრიალმა დაჰფარა მისი ელვგიური სიმღერის უკანასკნელი სიტყვები. ღმერთი ქუხილისა დამანქულის სახით გაჩერდა აპოლონის წინ და დაცინვა დაუწყა წმანდა მწვერვალთა მაქებ-მომღერალს:

„როდესაც ქვემოდან მესმის ეს ღრიალი და გიკქერი შენ, ძვირფასო აპოლონ, ვაი, რა საშინლათ მცირდები ჩემს თვალში. მაგ მოკლე მოსასხამში შენ გეგხარ თოკზე მოცეკვავე ჯამბაზს, ხოლო შენი ქნარის ხმა კი, ხალხის ღრიალთან შედარებით, ისე საცოდავით, ისე ხრინწიანათ ჩხავის! აბა რა არის შენთვის იქ რაღაც დიდების დაღუპვა, შენთვის, რომლის სიცოცხლე ნიმფთა დევნასა და მთვარის შუქზე სმა და სიმღერებში მიმდინარეობდა! რა ხარ შენ პრომეთეოსის გაღადრულ ქრილობას თანშედარებით, შენ, ვისიც შუბლი მე ერთხელ საკუთარის ხელით შევამკე უკვდავების გვირგვინით! იცოდე, ჩემთვის ბევრათ უფრო საყვარელია ის მიწიერი გიჟი, ვინემ შენებრ ქალ-ღმერთთა სათამაშო ტიკინის ვინ დაღვრის შენთვის ცრემლებს, ლამაზო! შენა და შენი ამაღა გახდებით ხალხის დასაცინ საგნათ. შენი ნიმფები გროშებზე მიეყიდებიან ვიგინდარა ჯარისკაცთ, ხოლო მუზანი—იქცევიან ქუჩის ლაზღანდარებათ და მოსვენებას არ მისცემენ გამვლელთა-მომვლელთ. მათებური სიყვარული ადვილათ მოსქარბდება ხალხს, ხოლო დიდება და გმირობა, მშვენიერება და ზეგარდმო ნიჭი სხვა გზით იწყებენ სვლას და თავისთვის საკურთხეველათ მოსძებნიან სულ სხვა გულთ!“.

მწარე საყვედურებს ისროდა ღმერთი ქუხილისა! ქვემო-კი ქარ-ბუქი მატულობდა, ბნელეთიდან შავი ღრუბელივით მოძვრებოდა ხალხი ანთებული ჩირაღდნებით ხელში და შიშველ მოწამის მოთავეობით, რომელიც გულ-გაღადრული მიჰქროდა წინ და თავის ზემოთ ლაპლაპა ჩირაღდანს მიაქანებდა. — სიკვდილი უკვდავთ! — ღრიალებდა ხალხი.

ოლიმპი მწუხარებამ მოიცო. შიშისაგან გაფითრებული ქალ-ღმერთნი და ნიმფნი მთვარით გაკაშკაშებულ მთათა მწვერვალიდან ჩასცქეროდნენ ძირს. ღმერთები დარბოდნენ წალკოტში და ერთმანეთს მისძახოდნენ. მინერვა, ღრმით გრძნობა მიხდილი, ვარდის სავარძელში მისვენებულიყო, მარსი კი გიჟივით გარბოდა კასტალიის წყაროზე, მოჰქონდა იქიდან წყალი და აპკურებდა ნახევრათ მკვდარს სიბრძნის ღმერთას. პსიხეა და ტერპსიხორა ვაი-ვიშითა და გოდებით გადარბოდნენ ვარდებზე და ნაკუწ-ნაკუწათ გაჰქონდათ გასმქვირვალე ბურუსისაგან მოქსოვილი ტანსაცმელები. ელვის სისწრაფით მოეფინა საზარელი ამბავი მთებს, მწვერვალებს და წალკოტთ. ყველაფერი აირია. ღმერთებმა მოინდომეს კრება მოეხდინათ ქუხილის ღმერთთან, მაგრამ ის გახვეულიყო ღრუბლებში და ვერსად ნახეს.

შეუდგენ ასევე ჰერკულესის ძებნას. ყველას იმედი მის უპოვარს ძალ-ღონეს და სიმამაცეზე იყო დამყარე-

ბული; ამას გარდა, ეს ნახევრათ-ღმერთი მიწის შვილი იყო და, მაშასადამე, კარგათ იცნობდა ადამიანთა სამსახედრო ოინებს. მას ეძებდნენ ყველგან — ტყეებსა, წალკოტებსა და კორდ-ბუჩქნარებში. ჰერკულესს კი, წინადლით ვაკხასთან ნაქეფარს, მკვდარივით ეძინა ქვიშაზე თავის საკურთხეველის შესავალ კარებში.

დაბლიდან კი სულ უფრო და უფრო ცხადათ ისმოდა:

— სიკვდილი უკვდავთ!
 შავი ღრუბელივით აწვებოდა ხალხი სულ უფრო და უფრო ზევით, დაქრილი ნადირივით მიექანებოდა ის წინ და მის კიჟინას ბანს აძლევდა კლდე-ღრე.

ღმერთები შეუდგენ ჰერკულესის გამოღვიძებას. ანძრევდნენ მას, აბრუნებდნენ, მაგრამ არაფერი გავიდა. ბოლოს ორმა ღმერთმა სტაცა მას ხელი ფეხებზე, ორმა სხვამ — ხელებზე, გააქანეს უკვდავების წყაროსაკენ და შიგ უკრეს ხუტუქი თავი. ჰერკულესი იხიობოდა, ცხვირს აცემინებდა, იწმანებოდა, ბოლოს უგრძობოთ გაახილა თვალები, გადაისვა ხელი შუბლზე, მიმოიხედა ირგვლივ და შესძახა:

— რათ გამაღვიძეთ? ძილი მინდა!
 მაშინ ერთმა ღმერთთაგანმა პირში მიახალა:
 — ხალხი ანგრევს შენს ეკლესიებს!
 ჰერკულესმა უგონოთ შეხედა მას და მიუგო:
 — მერე?

მას აუხსნეს საქმე რაშიაც იყო. არწმუნებდნენ, ელაპარაკებოდნენ, ემუდარებოდნენ. არაფერმა არ გასჭრა. ბოლოს გაჯავრდა ჰერკულესი და წამოიღრიალა:

— მე ძილი მინდა, გესმისთ, თუ არა! როცა გამოვიძინებ, ჩავალ დედა-მიწაზე და მატლივით გავჰყლეტავ მთელ ხალხს. ახლა კი თავი დამანებეთ, თორემ, თუ გავბრაზდი, ამ მთას შევსძრავ და მის ნანგრევებში მოემწყვდევით.

ღმერთები გაშორდნენ. ჰერკულესმა რაღაც ჩაიბუტბუტა, მიწვა ისევ და რამდენსამე წამს მკვდარივით ეძინა.

— სიკვდილი უკვდავთ! — ისეთის მრისხანებით ჰქუხდა ხმა დაბლიდან, რომ ფოთლებმა შრიალი დაიწყო და ოქროს ქვიშა განიბნა.

საშინლათ დამფრთხალმა ღმერთებმა, რაკი ჰერკულესის იმედი დაჰკარგეს, ისევ ქუხილის ღმერთის საკურთხეველს მიაშურეს. გზაზე იგინი შეეხეჩნენ მომტირალე ღმერთთა მთელ გუნდს, რომელმაც უსაყვედურა ამათ ლაჩრობა, და ლანძღვა-გინებით გაშორდნენ ერთმანეთს. დაღლილობისა და მღელვარებისაგან სულ-შეხუთული ღმერთები ვარბოდნენ ქვევით. წალკოტში მათ შემოხვდათ მხარზე ქნარ-გადაგდებული მგზავრულათ ჩაცმული აპოლონი.

— აპოლონი! — ერთხმით მიაყვირეს მას და გაუწოდეს აკანკალებული ხელები. აპოლონი შეჩერდა, გულგრილათ ახედ — დახდა მათ და დამშვიდებით შეეკთხა:

— რაშია საქმე?
 — დედა-მიწა წინააგვიდგა, ხალხი ოლიმპზე ამოდის ჩვენს დასამხობათ. ხომ გესმის ეს საზარელი კიჟინა?
 — მერე რაო? — ცივათ დაეკითხა ღმერთი მუსიკისა.
 — თავის დასაცველათ უნდა ვიზრუნოთ. გვირჩიე რამე! სად არის ღმერთი ქუხილისა?



—ეძიეთ, — დამშვიდებულის კილოთა ურჩია მათ აპოლონმა.

—შენ სადღა მ-ღიხარ?

—მე? — წყნარათ შეეკითხა მათ აპოლონი და დააცქერდა მათს დამფთხალს სახეს. — მე მავდივარ იქ... საზღაპრო ქვეყანაში.

ღმერთები გაშეშდნენ. რამდენსამე წამს გაშტერებულნი შეცქეროდნენ მას, თითქოს ვერ გაეგოთ მისი სიტყვები. მან-კი გამომშვიდობებაც არ აღირსა ისე წავიდა და მყის მ იმაღა მოსახვევში.

—სიკვდილი უკვდავთ! — გაისმა უკვე წალკატებსა და ტყეებში და ეს ხმა საზარლათ მოედო მთელს ოლიმპს.

ღმერთები სასოწარკვეთილებით იმტვრევდნენ ხელეზს. უეცრივ, თითქო რაღაც თილისმური ძალით, მათ მოიხედეს და დაინახეს მწვერვალზე ღმერთი ქუხილისა. ღმერთები დაეცნენ მის წინ მუხლებზე და განუბყრეს ხვეწნა-მუდართი ხელები. ქვეთინ-ტირილით მოვარდნენ ყოველი მხრიდან ქალ-ღმერთნი და გონ-მიხდილნი ეცემოდნენ მის წინ. კვიპაროსის ხენი მწუხარეთ იხრიდნენ თავს. მოწყენითა და ბნელათ გამოიყურებოდნენ ვარდნი და მთელი ბუჩქნარი.

ქუხილის ღმერთმა წარბები მოქმუნა და ყოველივე მიჩუმდა.

—რა გინდათ ჩემგან? — მოწყენით შეეკითხა იგი მათ.

ატყდა ისევ ყვედრება-მუდარა:

- დაგვიფარე!
- სადღაა შენი ქუხილი?
- სადღაა შენი მრისხანება?
- სადღაა შენი სიამაყე?

ამ დროს მათი საყვედურები შეუბოვარმა კიჟინამ დაჰფარა:

—სიკვდილი უკვდავთ! ძირს ღმერთები! დავხოცოთ!

ღმერთები ჩაუვარდნენ იუპიტერს ფეხებში. —გესმის? — იძახოდნენ ისინი და უთითებდნენ სადღაც შორს.

—ნუ თუ ცეცხლის სიმახვილზე შენი ქუხილისა ისე დაჩლუნგდა, რომ შესაძლებელი გახდა შენი ფეხით თელვა, პირში ფურთხება და შენი ეკკლესიების ნგრევა?!

—ნუ თუ შენ უნდა გძლიოს ადამიანთა ნათესაობამ და წიხლით შეგდგეს გულზე პრომეთეოსი!

ქუხილის ღმერთმა წარბები აძგება და მუხლ-მოყრილ ღმერთთა და ქალ-ღმერთთა შორის ჩამოვარდა სამარისებური მყუდროება. მახლობელ ტყეებსა, წალკატებსა და კორდებზე-კი უკვე ბობოქრობდა ადამიანთა კიჟინი ქარ-ბუქი, ხეობებში ჩირადდნები ლაპლაპებდნენ.

ქუხილის ღმერთის მრისხანე სახეს უსაზღვრო მწუხარება დაეტყო: შუქმფენი თვალები ცრემლებით ავესო, მან აღაპყრო ხელები და იწყა წყნარათ ტუჩების ცმაცუნნი.

აქ მოხდა სასწაული. ეს მუხლ-მოყრილი ღმერთნი ქალ-ღმერთნი, ნიმფები, ერთი სიტყვით, ყველა უკვდავი უეცრივ მინასავით გამსჭვირვალენი და საოცრათ ჩუმნი გახდნენ.

თვითყელი ტანს თან-და-თან ეცვლებოდა ელფერად და თეთრი ღრუბელივით წყნარათ, შეუმჩნევლათ თხელდებოდა და იფანტებოდა. ახლა მადლობზე დასურავდა მხოლოდ გამსჭვირვალე ბურუსი. ის წვრილ კამკამათ იფანტებოდა, ყოველ მხრივ დაძვრებოდა ქუფრ-მომწვანო კვიპაროსის ხეებში, უფლიდა გარშემო მწვანე ტოტებს და ჰაერში დნებოდა. მას ისვამდა ჰაერი და უგზო-უკვლოთ ჰქრებოდა მასში.

ღმერთი ქუხილისა ჯერ ისევ იდგა მწვერვალზე ხელეზ ალპრობილი; ბაგენი მისნი უკვე შეეკრა სამარის სიციკეს და აღარ იძროდნენ. თვალებმა დაჰკარგეს ელვარება და გრძობა. უმწეოთ დაშვებული ხელები მიჰმალოდა გაქვავებულ სამოსლის ნაოჭებში. სახე გაუშეშდა, მაღალ შუბლის მამშვენებელი თმა ქვისგან გამოქანდაკებულ ტალღათ იქცა...

ირგვლივ ყოველივე სდუმდა. მხოლოდ შორს, მთვართით გაშუქებულ ოლიმპის წვეტიან მწვერვალებზე ანთებულის ჩირადდნებით მოდიოდა ხალხი. მას წინ უძღვოდა, თითქოს ბრინჯაოს ქანდაკებათა, გულმკერდ გაღადრული არსება, რომლის ვარსკვლავებო ბრწყინვალე თვალები ნუგეშით მისჩერებოდნენ შორეულ მომავალს...

დ. ი.

პ ა ნ ლ ი

ძ ა ან მხიარული ბიჭი არა ყოფილა ეს ჩვენი „პროგრესი“! ისეთი მრავალ-ჟამიერი სცოდნია რომ აბა რა გითხრათ. „რიგოლტოსი“ თუ არ გეჯრებთათ ჰკითხეთ „ტფილისის ფურცლის“ კორესპოდენტ მ. ნასიძეს. ეს სიღნაღის მემბტიანე წარსულ კვირაში დიდის ამბით გვაუწყებდა რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში სიღნაღ-მაც გაბედა და ჩაება მსოფლიო პროგრესის ფერხულში და თუმცა ზარბაზნები აქნობავდის ვერ გამოვიგონეთ, ორი იუბილეი მაინც ვიდღესასწაულეთ ორს სადილზეო.

ერთი იუბილეი ყოფილა 60 წლისა და ეკუთვნოდა ა—ს, ხოლო მეორე ექვსჯერ მაზე ჯეილი, ე. ი. ათის წლისა და ეკუთვნოდა იქაურსავე ბ —ს. რომელი სადილი უფრო გემრიელი იყო ამ ორში, რასაკვირველია, ეს ისევ მ. ნასიძემ იცის — როგორც იქ დამსწრემ, მაგრამ, მაგარიცა და რბილიც ის არის, რომ სად მრავალ-ჟამიერი და სად ქიზიყის გლეხები თავიანთი რკინის გუთნებით, ან იქაური „პრომინი პაკობები“ — თავის ავანტიურებით და ქიზიყის ცხონება, რომლისთვისაც დიდი ღვაწლი მიუძღვით თურმე იუბილიარებს. ხვალე რომ სიღნაღელებს დაეძინათ და უცებ მარსის პლანეტაზე გამოეღვიძოთ, ამის შემდეგ არც ეს იქნება საკვირველი.

ხოლო საკვირველი არც ის არის, რომ სიღნაღში მღერიან და ბაქოში კიდევ სტირიან.

სტირიან და აქვთ კიდევ სატირელი! მართალია სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ როცა ვინმე როზგს ქვეშ განუტყვევებს სულს, აი ძნელი ეს არის. საწყალს აქაურს ბიბლიოთეკას მთელი სამი წლის განმავლობაში იმისი გამგე მკერვალიშვილი ხან აქვთ უშვრებოდა თავს, ხან იქით. ეგონა, ფანტანი ამოხეთქავს და

გავკეთდები კაციო, მაგრამ კაცი ბაქოში იყოს და ანგა-
ნი არ იცოდეს? რა ბიჭები არიან ბაქოელი ქართვე-
ლები, რომ ბიბლიოთეკას ფანტანი ამევენთქნა და მკერ-
ვალიშვილის ჯიბისაყენ გადაეშვათ ეს ფანტანი. მართა-
ლია, ცოტა წინწყლები კი მოხვდა ამ ვაჟბატონს, მაგრამ
ეს ხომ წინწყლები იყო და სხვა არაფერი. ამიტომ მას
გავულისებულს გაუწვევია ბატონი ბიბლიოთეკა, ჯერ
გასაღებით უცემნია და მერე ისეთი კლიტე დაუდგია
ზედ ენის წვერზე, რომ მიცვალებულს ათასი შესაჩი-
ვლიც ჰქონდეს, კრინტს ველარ დასძრავს

როგორც.

ყურნალ-ვაშეთებიდან

ჩვენს უკანასკნელ შენიშვნას ძალიან გაუწიწმტებია „ცნობის
ფურცელი“ და ის რაც გულში ჰქონდა ჩვენს შესახებ და აქამ-
დის ვერ თქვა, თქვა ახლა სულ მოღათ, ერთიანათ. აი ნიშუში
მისი სიტყვა-პასუხისა: „კვალის რედაქციას ჭკრიკანობა
და ინტრიგანობა დაუბადა და ათას ზირობებში რომ ჩააყ-
ნოთ, კუდის ქნევას ვერ მოიშლის. და მერე რა არის ჭკრი-
კა და ის, რომ ბ. კიტა აბაშიძე „ივერიდან“ კი არ გადმოსუ-
ლა „ცნობ. ფურცელში“, არამედ, როგორც „მოამბის“ თან-
შეხვედელი, ის წინათაც ჩვენს იყო! დურთმა მოახმაროს!
მაგრამ ფაქტს კი მაინც ვერ ვინ გაქცევს, თუნდაც ეს „ცნობ.
ფურც.“ რედაქცია იყოს. და ეს ფაქტი ის არის, რომ ბ. კ.
აბაშიძე სწორეთ ისეთ ფელეტონებს, რომელიც მას ასლა
„ცნობ. ფურც.“ უწავლობს. წინაც უოველთვის „ივერიაში“
ათავსებდა და, რომ „ცნობ. ფურც.“ არ უოფილიყო, ახლაც იქ
მოათავსებდა. აი ამას ქვია, ერთი გაზეთის დატოვება და მე-
ორეში გადასვლა. და თუ ეს უბრალო ამბავი „ცნობ. ფურც.“
არ გაეგება, სწორედ შესაბრაღისი უოფილა. მაგრამ განა საქმე
ამაშია, არა ჩვენი შენიშვნა ესებოდა იმას, თუ როგორ დაამცი-
რა ხალხის თვალში აკაკი (აკაკიმ საქათველდს შეაფუთხა! აი
„დანისი“ ამას ჰქვია), მიწასთან გასწორა გიორგი წე-
რეთელი (უფერულ ცხოვრებას ხატავდა. მკითხველს არაფერი
მისცა და სხ.) და სამაგოერეთ ამბაღლა თავისი მეგობრები
როგორც, მაგ., ი. ზურაბაშვილი. აი ეს კრიტიკა კი არა, სთა-
ვილო ხელობა. „ცნობ. ფურცელს“ ახლა აღარ მოსწონებია
მის მიერ გამოქვეყნებული „კრიტიკა“ და ამტკიცებს არც
აკაკი დაუძინებია ვისმეს და არც გიორგი წერეთელი და არც
ივ. ზურაბაშვილი აუმაღლებიათ! თვალის ახვევაც ამას ჰქვია!
ის ადგილები „ცნობ. ფურცლისა.“ ჰქვეყნამ ისე გაიგო, რო-
გორც ჩვენ გავიკეთ დათუ სხვანაირათ ესმის, ამის მიზეზი
თვით რედაქციაში უნდა მაინახოს. მაინც საინტერესოა თვითონ
ავტორმა გამოაცხადოს, რომელია მართალი: „ცნობის ფურც-
ლის განმარტება, თუ მისი ფელეტონი.

რაც შეეხება „ინტრიგობას“ და „ჭკრიკებს“, „ამას კვა-
ლი“ს რედაქციაში ვერაფერს მონახავს, ხოლო „ცნობ. ფურცელ-
ში“ სამწუხაროთ, უკვლავ ამან ასე მაღე დაიბუდა. საკმარისია
გავიხსენოთ შესნიშვილის და გველესიანის ამბები...

ჩვენი მსახიობა.

ხუთშაბათს, 18 ამ თვეს, ქართულ თეატრში ქ. კარ-
გარეთლის საბენეფისოთ წარმოადგინეს „ურიელ აკოს-

ტა“. წარმოდგენამ ერთობ უფერულიათ ჩაიარა, ვრავენ
თავისი როლი არ იცოდა და რაღაც ნაძალადეგ ფანტანით
გამოდიოდა. სამაგიეროთ წარმოდგენა შესანიშნავი იყო
იმით, რომ ხალხი აღფრთოვანებით დაუხვდა ბ მესხი-
შვილს. თეატრი ერთიანათ გაქედლილი იყო და ყოველი
ანტრაქტი ერთი დაუსრულდებელი მანიფესტაცია იყო
მესხიშვილის სასარგებლოთ. მას მიართვეს თანაგრძნობის
ადრესი, ბევრი კაცისაგან ხელმოწერილი და თავზე გა-
დააყარეს ფერად ქალაღლებზე დაბეჭდილი ლექსები.
ერთი ლექსი ასე იწყება:

„კოლო ბზიკები, ფუტკარო,
ვერ ოდეს შეგედრებიან
და კბენით მიტომ გგესლავენ,
მადლით რომ ვერა გწვდებიან“ და სხვ.

ყველა ეს გამოიწვია, როგორც იცით, „ცნობის
ფურცელში“ დაბეჭდილმა „ბზიკის“ წერილმა. ასე რომ
ხუთშაბათის წარმოდგენა უფრო მესხიშვილის ბენე-
ფისი იყო, ვინემ ქალ. კარგარეთლისა, თუმცა არც ეს
მსახიობი ქალი დავიწყებიათ და უსაჩუქროთ არ დაუ-
ტოვებიათ.

ბ ი ბ ლ ი მ მ რ ს უ ი ს

Кавказский Вѣстникъ; Книга XIII, № 1, Январь 1901 г.

მეორე წელიწადია, რაც ზემომოყვანილის სათაურით ყურ-
ნალი გამოდის ტფილისში, ბ-ნ ვ. დ. უორდანოვის სათაურით
და ბ-ნ გ. ნ. ბეგინევის რედაქტორობით. სიმართლე გვათქმე-
ვინებს და ჩვენც საიმოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რედაქ-
ცია ამ ახალის ყურნალისა საკმაო ურადლებას აქტევს კავკა-
სიას ერთობლივ და კერძოთ ჩვენს ჰქვეყნას. შინაურ მიმოხილ-
ვის გარდა, ამ ყურნალში ბეღეტრისტიულ ნაწილშიაც შეხვე-
ბით ჩვენი ცხოვრების სურათებსაც ზოგადად საკმაოდ დასუ-
რათებულს. საისტორიო და საარხეოლოგიო მასალებს, როგორც
ეკუობა, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ ყურნალში ზატე-
ცემულ რედაქციისაგან და ესეთი ურადლება ამ უკანასკნელისა
ჩვენი ჰქვეყნის საისტორიო მასაღისაღმი ჩვენ მიგვანია მე-
ტად საგუღისხმიეროდ.

ამ წლის ბირველი წიგნი Кавк. Вѣстникъ-ის ძლიერ გულ-
დასმით არის შედგენილი. ეს იმას ცვატკიცებს, რომ გამო-
ცემული დიდ ზრუნვაშია, იმის ყურნალი მკითხველი-
სათვის საინტერესო გამოვიდეს. ჩვენ არ ჩამოფთვლით აქ ვე-
ლა იმ მასაღას, რომელიც ამ ყურნალის ბირველ წიგნშია მო-
თავსებული, მხოლოდ ვიტყვით ეს წიგნი ძალიან შინახისანია.
აქ არის მოთავსებული ევ. გაბაშვიღის მოთხრობა, ქართული-
დან ხათარგმნი, მამია გურიელის ლექსი (ადამიანია), საქართვე-
ლდს და რუსეთ შორის დიზლომატიური მიწერ-მოწერა მე-XVI
- XVII საუკ. ა. მღივინისა და სხ. საზოგადოთ ქართულ ცხო-
ვრებას საკმაო აღაგი აქვს დათმობილი ამ წიგნში. წერილები
უმთავრესათ სერიოზულს გამოკვლევებს წარმოადგენენ. ნაკ-
ლეულევენებათ უნდა ჩაეთვადოს „შინაური მიმოხიღვის“ სრუ-
ლი უფერულდობა და აღაგ-აღაგ ტენდენციური აზრების გატა-
რება კავკასიის ხალხთა ურთიერთობის შესახებ. ამ უკანასკნელს
ასეთ გამოცემაში არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თვარა
ყურნალი ბევრით წააკებს.



1) „სახალწლო სახუჭარი“, გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა, ფასი 20 კ.

2) „მარად სახსოვრის მასწავლებლის ტიტულიანი სოფეტნიკის კონსტანტინე სიმონის ძის ფირაღაშვილისა“. ფასი 10 კ.

3) „ათას ცხრაასი წლის სახსოვარი“ მესხური ანდაზები და გამოცანები, ნაწილი მეორე. ფასი 5 კ.

„სახალწლო სახუჭარი“, როგორც გამოცემული აცხადებენ, უფესოთ დათმობათ მათ, ვინც ძმ. თავართქილაძეების გამოცემულ „კედლის“ ან „საყოველთაო კალენდარს“ იყიდის. „სახუჭარში“ მთავსებულა რამდენიმე სურათი ჩვენი ძველი და ახალი მწერლებისა, წერილი იოჰანე გუტენბერგზე „ტიუშაიცი“ ია ეკლასიისა, რამდენიმე მშენიერი ლექსი და სხ. აქვე არის აგრეთვე რამდენიმე სურათი ჰარიუსის გამოფენიდან.

ფირაღაშვილის წიგნის შემოსავალი გადადებულია ახალციხის ქართულ კათოლიკეთა სკოლის სასარგებლოთ.

ისტორიული მისწერებები.

I

სექტემბერში 1843 წელს, როცა მარქსი „Deutsch-Französische Jahrbücher-ის“ გამოცემას იწყებდა, არაოღდ რუგეს სწერდა შემდეგს:

„დღემდე ფილოსოფოსნი თავის პორტფელებში ინახავდენ ყოველგვარ კითხვების ახსნას და ბრიყვ კაცობრიობას ის-ლა დარჩენოდა, რომ ჰირი დაელო და ეყლაპა აბსოლიუტური მეცნიერების ცხელ-ცხელი ქადები. ახლა ფილოსოფია გახდა საყოველთაო... თუ მომავლის აშენება და მერმინდელ დროთა საბოლოო შედეგებზე ფიქრი ჩვენი საქმე არ არის, მით უფრო ნათლათ უნდა გვესმოდეს, თუ რა უნდა ვაკეთოთ აწმყოში: მე ვლაპარაკობ ყველაფერის ულმობელს კრიტიკაზე, ულმობელს მეთქი, ვამბობ ორი აზრით: ერთი მით, რომ ეს კრიტიკა არ უფროთხის თავის საკუთარ შედეგებს, მეორე, რომ არსებულ წესებთან შეჯახებით უკან არ იხვეს“.

მარქსის ასეთი კრიტიკული სულის მდგომარეობა სრულიად ეთანხმება ფრიდრიხ ენგელსის, სულის მდგომარეობას, რასაც ცხადათ ამტკიცებს მისი საინტერესო წერილი „Die Lage Englands“-იდან, რომელიც „Deutsch-Französischen Jahrbücher“-ში დაიბეჭდა და რომელშიაც საყურადღებო ალაგი უჭირავს კარლელის აზრებს.

კარლელმა თვით აღიარა, რომ მას საზოგადოებრივი უბედურების მოსპობაში არავითარი „მორისონის აბები“, არავითარი ჰანაცუა (უებარი წამალი) არ მოუგონია. ენგელსი, მოჰყავს რა ეს აღსარება, უმატებს: „ის ამაშიაც მართალია. ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია ის საზოგადოებრივი ფილოსოფია, რომელსაც რაღაც ორიოდ დასკვნის აღმოჩენით დასრულებულათ მიაჩნია თავისი მისსია დი გვებატიყება „მორისონის აბების“ ნიღებას. ჩვენთვის უფრო საჭიროა შესწავლა, ვინემ მშრალი დასკვნები. დასკვნა იმ განვითარებით, რომელსაც მიყუვართ თვით დასკვნამდი—არა რაა; ეს ჰვეგელის დროიდან ვიცით. ის შედეგნი, რომელნიც

უცვლელათ მიაჩნათ და სარჩულათ არ უდებენ შემდეგ განვითარებას, არა თუ უსარგებლოა, არამედ მანეგბელიც, მაგრამ შედეგი, თუნდა დროებითაც, უთუოდ უნდა შეიმოსოს რაიმე გარკვეულს ფორმაში; განვითარებამ უნდა გამოიყვანოს ის ბნელ ვაურკვევლობიდან და შეჰქმნას მისგან ნათელი აზრები“ *).

თუ სამართლიანია ენგელსის შენიშვნა, რომ უნდა ვუფროთხილდებოდეთ იმდენათ დასკვნას კი არა, რამდენადაც იმ განვითარებას, რომელსაც ამ დასკვნამდის მიყუვართ, და თუ საზოგადოთ დახკვნებს დროებითი მნიშვნელობა აქვთ, მაშინ შეიძლება ვიკითხოთ: ხომ არ მოძველდენ „მანიფესტში“ მოყვანილი დასკვნა-შედეგები და ხომ არ გაურიყავს იგინი იმავე განვითარებას, რომელმაც შობა ეს დასკვნა-შედეგნი? ერთმა გამპკრიახმა ფრანგმა თქვა, რომმას სწორედ არა სურს ვოლტერივით იფიქროს იმ დროს, როცა თვით ვოლტერი სხვა გვართ ფიქრობსო. ავილოთ მაგალითი ამ ფრანგისაგან. ჩვენ რომ იმ დროს მოვისურვოთ მარქსს და ენგელსსავით ფიქრი, როცა თვით იგინი სხვა გვართ იფიქრებდენ, ამით დავამტკიცებ მათი მოძღვრების ცხოველი, კრიტიკული სულის სრულს შეუფნებლობას, რის გამოც ჩვენ ამ მოძღვრებისგან კიდევ უფრო შორს ვიქნებოდით, ვინემ ის დოგმატივები, რომელზედაც სწერდა მარქსი არაოღდ რუგეს ზემოთ მოყვანილ წერილში.

მარქსი და ენგელსი ულმობელი კრიტიკოსები იყვნენ და არც უფროთხოდენ თავიანთ კრიტიკის შედეგებს. მათ შეგირდებს არ უნდა ეშინოდესთ კრიტიკაში გაატარონ ის დასკვნა-შედეგნი, რომელნიც მოიპოვეს მათმა მასწავლებლებმა:

ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა იყოს და ამაზე ლაპარაკიც მეტია განსაკუთრებით ახლა, როცა მთელს ევროპაში,—პეტერბურგიდან ნეაპოლამდე და სამარადან დუბლინამდე,—ისე ბევრი მარქსისტებია „კრიტიკოსის ნიშნით“. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ „კრიტიკოსობის ნიშნები“ ხვა და სხვა გვარია. დიდი ხანია თქმულა, რომ არა ყოველი, რომელი იმეორებს „უფალო, უფალო!“ შევიდეს სასუფეველსა ცათასაო, არა ყოველი, რომელიც იძახის „კრიტიკა, კრიტიკა“ ძალუქს დოგმატიზმზე მალლა აიწიოს. მარქსისა და ენგელსის „კრიტიკოსთა“ რიცხვი ზღვის ქვიშაზე უმრავლესია. მარქსიზმის კრიტიკა იქცა მოდათ ყველა ქვეყნის ინტელიგენტთა ერთგვარ წრეებში. მაგრამ მოდა და კრიტიკა ერთმანეთის შეურთგებელი მტრები არიან. და რაც უფრო მოდის საქმეთ ხდება მარქსიზმის კრიტიკა, მით უფრო ჰკარგავს ის ყოველგვარ კრიტიკულს შინაარსს. ბატონ კრიტიკოსებს დახავსებულათ მიაჩნათ ის დასკვნა-შედეგები, რომელნიც გაარკვიეს მარქსმა და ენგელსმა, ხოლო თვითონ არაფერს ახალს არ იძლევიან მათს ალაგას და ხშირათ უაზროთ, დაჟინებით გაიძახიან სიტყვას „კრიტიკა“ და ზოგჯერ კი უბრუნდებიან მარქსისა და ენგელსის ბურჟუაზიულ თანამედროვეთა, ან კიდევ მათ წინა მოადგილეთა შეხედულებათ. ცხადია, ასეთი კრიტიკა სრულიად ვერ დაგვიფარავს დოგმატიზმისაგან, ასეთი მოძრაობა ვერ იქნება მედგარი მოძრაობა.

მარქსის კრიტიკოსთა „კრიტიკულ“ აზროვნების

*) „Deutsch-Französische Jahrbücher“ № 88. 167—168 გვ.

სიმჩატე განსაკუთრებით თავს იჩენს ფილოსოფიაში. აქ ისინი მათ მიერ ეგრეთ წოდებულს მატერიალისტათ დოგმატიზმს უპირდაპირებენ კარგა საკმაოთ მობერებულ კანტის მიმდევართა დოგმას გარეშე ბუნების შეუგნებლობაზე. ამ მოძღვრების გარჩევის ადგილი აქ არ არის, და ამიტომ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ბატონნი კრიტიკოსები მატერიალიზმს უარსა ჰყოფენ, და იმაზე კი ყურსაც არ იბერტყენ, რომ რიგიანათ გაეცნონ ამ თეორიას და მერე წარმოსთქვან თავისი მსჯავრი; არა, ისინი კმაყოფილდებიან იმ წარმოდგენით, რომელსაც ისე ბეჯითათ ითვისებენ სწავლულნი, ნახევრათ სწავლულნი და სრულიად არა-სწავლულნი ფილისტერები სხვა და სხვა ქვეყნებისა და რომლის საფუძვლათაც მიღებულია დაპირდაპირება ხორცისა სულთან, მატერიისა ძალასთან. ამ წერილში ჩვენ გვექნება ლაპარაკი განსაკუთრებით მარქსისა და ენგელსის სოციალურ ფილოსოფიაზე, მაგრამ ესეც საკმაო რთულია. ამ წინასიტყვაობაში მისი განხილვა შეუძლებელია. ამისთვის ჩვენ აქ შევეცებით მხოლოდ მის დედა აზრებს.

(შემდეგი იქნება)

რედაქციისაზან. პროვინციიდან ხელისმომწერლები გვისაყვედურებენ „კვალის“ ნომრები არ მოგვდისო. ამით ვაცხადებთ, რომ ნომრები ყველას ეგზავნება და თუ მაინც ვერ ღებულობენ — ეს ფაქტის ბრალია და არა რედაქციის.

შეცდომის გასწორება

„კვალი“ № 3-ის სტატიაში „მწერლობის განვითარება“ 50 გვ. პირვ. სვეტ. დაბეჭდილია „მწერლობის წარმოება“, უნდა იყოს „მწერლობის წარმოება“; მეორე სვეტ. დაბეჭდილია: „ჩვენ აქ ვერ შევძლებთ“ უნდა იყოს „ჩვენ აქ არ შევუძლებთ“, 52 გვ. დაბეჭდილია „როგორც დედამიწისაგან“, უნდა იყოს: „როგორცა დედამიწისაგან“; 11 არკ. ქვეიდან დაბეჭდილია „მიუწოდებელი“, უნდა იყოს „მიუღვამელი“.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა

**ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА
„С.-ПЕТЕРБУРГСКІЯ ВѢДОМОСТИ“
ВЪ 1901 П.**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Бѣзъ казенныхъ прибавлений.

на годъ, 6 мѣс., 3 мѣс. 1 мѣс.

Съ доставкой по гор. почтѣ 16 р. — к. 9 р. — к. 4 р. 50 к. 1 р. 80 к.
 Съ пересылкою иногородн. 17 „ — „ 10 „ — „ 5 „ 50 „ 2 „ — „
 За границу 26 „ — „ 14 „ — „ 8 „ — „ 3 „ — „

Съ казенными прибавлениями.

на годъ, 6 мѣс.

Съ доставкой по гор. почтѣ 18 р. — к. 10 р. — к.
 Съ пересылкою иногородн. 19 т. — к. 11 „ — к.
 За границу 28 „ — к. 16 „ — „

Подписка на газету съ казенными прибавлениями принимается только на годовой и на полугодовой срокъ. Въ розничную продажу казенныя прибавленія не поступаютъ.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ чрезъ гг. казначеевъ (по особому съ ними соглашенію); для частныхъ же лицъ, обращающихся прямо въ контору редакціи: 7 руб. при подпискѣ, 5 руб. въ концѣ марта и 5 руб. 1 августа.

Для духовныхъ лицъ, воспитанниковъ высшихъ учебныхъ заведеній, а равно для общественныхъ библиотекъ и читалень подписная цѣна: 12 руб. въ годъ или 1 руб. въ мѣсяцъ (исключительно черезъ контору „СПВ. Вѣдомостей“) Подписчикамъ, не внесшимъ въ срокъ подписныхъ денегъ, высылка газеты прекращается.

Подписка принимается: въ Петербургѣ, въ главной конторѣ „С.-Петербургскихъ Вѣдомостей“, Шпалерна, 26, и въ книжномъ магазинѣ Цинзерлинга, (Невскій пр., № 20); въ Москвѣ, въ конторѣ Н. Печковской, Печковскія линіи, № 61.

Иногородные адресуютъ: С.-Петербургѣ, Шпалерная, 26. Редакторъ-издатель князь Э. Э. Ухтомскій.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 25 იანვარს 1901 წ.

გ ა ნ ე ზ ი ს ი

ვ. კამერელიძის და კ. კანდელაკისა.

ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველათ ახალი და პრემიით დაჯილდოებული პიესა

„ი ა ნ ი ს ა რ ი“

ისტორიული დრამა 5 მოქ. და 7 სურათად დ. ნახუცრიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასწყისი 8 საათზე.

ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. ვაშნია.

შემდეგი წარმოდგენა კ. მესხის ბენეფისი წარმოდგენილი იქნება „მადამ-სანჟენ“.

მზადდება წარმოსადგენათ „ორი გმირი“ — „ციხის საიდუმლო“.

თფილისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1901 წლის 23 იანვარს, შუადღის 12 საათ., დაიხსნულია საჯარო

შ ა ჭ რ ო ბ ა,

რომლითაც გაცემა იჯარით აშენება ორის ქვის შენობისა ქ. თფილისის მე-7 ნაწილში 28,138 მანეთის და 43 კ. ღირებულობისა. ვისაც ქსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი ჰირობანი გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნახუადღევის 3 საათამდე.